ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 21 იანვარი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი მეორე გვერდზე მეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი მეტიტ. 100 მანეთი. ნისიად განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 14 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 14

დედამთილი დისპინე ნიჟარაძის ასული კანდელაკისა, მაზლი პეტრე ლუკას ძე კანდელაკი, მულები იუდითი კალანდარიშვილისა, ბარბარე ქელიძისა, სონა ჯაფარიძისა თავიანთი ქმრებით და იულია ბაგრატიონისა ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ივდითი ახვლედიანის ასული კანდელაკისა

გამოსვენება და დაკრძალვა სოფ. კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაზე, ხუთშაბათს, 22 იანვარს. (238 3—1)

უხომოთ დამწუხრებულნი: ოლიმპიადა, კატო, თამარა, ლუსინე, ტუკია და კაკო ერმალოზის ასულნი და ძენი კანდელაკები გულდათუთქულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი დედა

ივდითი ახვლედიანის ასული კანდელაკისა

გამოსვენება და დაკრძალვა ხუთშაბათს, 22 იანვარს, სოფ. კულაშში, ჯვარცმის ეკლესიაზე (238—2—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მამა თომა, დედა ანნა, ძმა აკაკი და დაი იულია ჯლამძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, პირველის ორის ძვირფასი შვილის და დანარჩენის დაუვიწყარის დის

მარო (მარუსიასი)

გარდაცვალებას, 19 იანვარს ღამით (ახ. სტ.) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. (237 1—1)

სახალხო გვარდიის საარტილერიო ბრიგადის ოფიცრები და გვარდიელები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს, მათთვის ძვირფასი ამხანაგების:

ესტატე ალექსის ძე გვასალიას

და შალვა არსენტის ძე გარგაკაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომელნიც დასაფლავებულნი ქ. თფილისში ძმათა სასაფლაოზე და აგრეთვე

ბესარიონ ფილიპეს ძე ჭეიშვილის

და სამსონ ერმალოს ძე სურგულაძის

რომელნიც წაასვენეს ამა წლის 18 იანვარს გურიაში. (236 1—1)

მეუღლე ქეთო დავითის ასული, შვილი მიხეილ დავითის ძე, დედა ბარბარე, ძმები: ვანო, პეტრე, გიორგი და ლევანი ქურდიანები, დები და სიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 22 იანვარს დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარი

დავით მიხეილის ძე ქურდიანის

სულის მოსახსენებლად. წირვა გადახდილი იქნება წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში დილის 10 საათზე, პანაშვიდი კი პეტრე პავლეს სასაფლაოზე ნაშუადღევს 2 საათზე. (239 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: ფეოდოსია პეტრეს ასული ჯაყელისა, ელისაბედ ალექსანდრეს ასული, ლევან, თარხან და ალექსანდრე (ბოცო) ლევანის ძენი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ნინა ლევანის ასული და ქრისტინა კონსტანტინეს ასული ჯაყელები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი და დაუვიწყარის პირველის მაზლის და დანარჩენთა ბიძის

გრიგოლ ჯაყელის

გარდაცვალებას. დასაფლავება ქ. ოზურგეთში ხუთშაბათს 22 იანვარს ნაშუადღევს 3 საათზე ექადიის ეკლესიის გალავანში, საგვარეულო სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველდღე საღ. 5 ს. (240 1—1)

გულდათუთქული მშობელი დედა ნინო ნიკოლოზის ასული რჩეულიშვილისა და ანასტასია მიხეილის ასული რატიშვილისა ქალით ნინოთი, ძმები: ივანე და დიმიტრი მიხეილის ძენი, რძლები: ეკატერინე ალექსანდრეს ასული და ალექსანდრა ალექსანდრეს ასული რჩეულიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 18 ამ თვისას სოფ. ურიათუბანში გარდაიცვალა მათი ძვირფასი საყვარელი შვილი, ძმა, ბიძა და მაზლი

გიორგი მიხეილის ძე რჩეულიშვილი

დასაფლავება მოხდება სოფ. ურიათუბანშივე (სად. მუკუზანი, კახ. რკ. გზ.) საგვარეულო სასაფლ. 22 სა იანვ. 1920 წ. (248—1—1).

შვილები: კატო ჟარჟოლიძე, დარია გედაძე, ეგნატინე თავაძე, სალომე არონიძე, სიძეები: დათიკო სარალიძე, სოლომონ თავაძე და სევერიანე არონიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 23 იანვარს, ხუთშაბათს დილის 12 საათზე გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოზე პირველთა დედის და მეორეთა სიდედრის

ალათი ლოლუას ასული ჭელიძის

სულის მოსახსენებლად. (247—2—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ანნა იოსების ასული თოფუროვისა, შვილები: ელენე და ნინო აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

კონსტანტინე გიორგის ძე თოფუროვი

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა ხუთშაბათს, 23 იანვარს. გამოასვენებენ საკუთარ ბინიდან (თამარის ქუჩა № 1) დილის 12 საათზე, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. (245—2—1)

საქართველოს ცენტრ. კოოპ. კავშირი ამით აცხადებს, რომ გარდაიცვალა კავშირის საპნის ქარხნის გამგე

კონსტანტინე გიორგის ძე თოფუროვი

დაკრძალვა ხუთშაბათს, დილის 12 საათზე, წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (245—1—1)

საჯარო ვაჭრობა

ოთხშაბათს, 21 იანვარს დღის 12 საათზე მკერვალ ქალთა პროფესიონალურ კავშირის დამქირებელ სახელოსნოში (დიდი მთავრის ქ. № 72) შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდის მიერ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

მაუდის ძონძები ვას ფუთამდე. ნაწილი გარეცხილია (ნ. 1—1)

სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ავტო-ტექნიკური განყოფილების მიერ

მ. წ. 1 თებერვალს, დილის 11 საათზე

საჯარო ვაჭრობით

გაიყიდება შემდეგი ავტომობილები: 1) ლაურინ-კლემენტი—8 ძალ. შეფასებული 10,000 მან., 2) ოპელი 6 ძალ., შეფასებული 20,000 მ., 3) სტეიერი, 6 ძალ. შეფასებული 30,000 მ., 4) შენცი, 8 ძალ. შეფას. 12,000 მან. 5) შენცი 20 ძალ. შეფას.—50,000 მან. 6) ნ. ა. გ. 18 ძალ. შეფას.—20,000 მ., 7) ნ. ა. გ. 6 ძალ. შეფას.—10,000 მ. 8) ფორდი 22 ძალ. შეფას.—5,000 მ., 9) რუსულ-ბალტიური 16 ძალ. შეფას.—20,000 მ., და 10) პეჟო (ნახევრად საბარგო) 16 ძალ. შეფას.—30,000 მან. მისამართი: ელისაბედის ქ. სახლი № 119.

სახ. გვ. მთავარი შტაბი. (228—6—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—თ.)

ექიმი ხარლამპ ამბროსის ძე

ცეხანოვსკი

საპიორნი ქუჩა საკ. სახლი № 28 ევანგულოვის ქუჩის კუთხე სახელმწიფო თეატრის უკან.

ჩამოვიდა ქუთაისიდან და ღებულობს სქესის, შარდის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს (606—914) მიღება: დილის 8—9 ს. მოწაფეებს და ღარიბებს უფასოთ. 10—12 ს. საღამოს 4—5 ს. მარტო ქალებს 5—6 ნახ. ს. (თ.—3423)

წიგნების გამომცემლობა ალ. არაბიძისა და ამხანაგობისა, თფილისი, დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5, ეზოში № 25,

გამოვიდა ახალი წიგნი

ალ. წერეთელი

მსოფლიო ისტორია

დაწყებითი კურსი, ნაწილი მე2, საშუალო საუკუნოები, სურათებით. მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა. ფასი 22 მან, (ნ 1—1)

De iure და de facto

დეპეშის იმ ტექსტში, რომლითაც ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა მიმართა თავის წარმომადგენელს ამიერკავკასიაში მისტერ უორდროპს, ნათქვამი იყო, რომ სახელმწიფოთა უმაღლესმა საბჭომ „ფაქტიურად“—(„de facto“) სცნო საქართველოს და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა.

ბაქოელ ლენინელების ორგანო „გოლოს რონა“ ცდილობს ქვეყანას აუხსნას, რომ „ფაქტიური“ ცნობა დამოუკიდებლობისა ჯერ კიდევ ნამდვილს ცნობას არ ნიშნავს, რომ „ფაქტიურსა“ და „ფორმალურ“, „იურიდიულ“ ცნობას შუა დიდი მანძილია. რომ მთავარი მნიშვნელობა „იურიდიულ“ („de iure“) ცნობას აქვს და არა „ფაქტიურს“. ჩვენი დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეთა ამნაირ სისინს ერთი მიზანი აქვს—დამოუკიდებლობის თანამგრძნობთა შორისაც შექმნან ერთნაირი ეჭვიანობის ატმოსფერა. ამიტომ საჭიროა გამოირკვეს, რას ნიშნავს დამოუკიდებლობის ცნობა „de facto“ და რა განსხვავებაა მასსა და „de iure“-ს შორის.

მთავარი საკითხები, რომლებიც უმაღლეს საბჭოს წინაშე იდგა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შესახებ, პრინციპიალური იყო: აქვთ, თუ არა, ამიერკავკასიაში ახლად დაარსებულ რესპუბლიკებს უფლება დამოუკიდებლად იარსებონ? აქვთ, თუ არა, მათ ამის შეძლებლობა? ამ საკითხების ასე თუ ისე გადაჭრაზე იყო დამოკიდებული ჩვენი რესპუბლიკების ცალკე არსებობის ცნობა თუ არ ცნობა. დამოუკიდებლობის უფლების ცნობა ნიშნავდა იმას, რომ ამიერ-კავკასიის ერებს თვითგამორკვევის უფლება უნდა მისცემოდათ. ამნაირი თვითგამორკვევა ფაქტიურად ორი წლის წინად მოხდა. ამ ფაქტიურ თვითგამორკვევას ფორმალური ცნობა მოჰყვა საქართველოში საყოველთაო არჩევნების წესით მოწვეულ ხალხის უზენაეს ნებისყოფის გამომხატველ ორგანოს—დამფუძნებელ კრების მიერ. აქვთ თუ არა, ამიერ-კავკასიის ერებს ეს თვითგამორკვევის უფლება? ასეთი იყო პირველი პრინციპიალური საკითხი. და უმაღლესმა საბჭომ გადაჭრით სთქვა: აქვთო.

მაგრამ შეიძლება რომელიმე ერის უფლება იცნო, მაგრამ მაინც უდავო იყოს ის, რომ ამ ერს არ შეუძლიან, ძალა არ შესწევს ამ უფლებით ისარგებლოს. შეიძლებელია, მისი სასიცოცხლო ძალები ისე აშკარათ მცირე იყოს, რომ მან ვერ შესძლოს სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის გაძღოლა. აქვთ, თუ არა, ამიერ-კავკასიის ერებს ძალა, რომ იქონიონ თავისი სახელმწიფოები? ასე იდგა მეორე პრინციპიალური საკითხი. და უმაღლესმა საბჭომ, თანახმად იმ ცნობებისა, რომლებიც მის ხელში იყო, აღიარა, რომ საქართველოს და აზერბეიჯანს შესწევთ ძალა დამოუკიდებლათ არსებობისა—სომხეთის შესახებაც ამნაირივე პასუხი ახლო მომავალში არავითარ ეჭვს არ იწვევს.

და ეს თავისი პრინციპიალური გადაწყვეტილება უმაღლესმა საბჭომ საქვეყნოთ აღიარა. ამ აღიარების წამიდან ჩვენ შევდივართ მსოფლიოს სახელმწიფოთა ოჯახში. დიდი სახელმწიფოები უკვე გვთვლიან ჩვენ სახელმწიფოდ და უკვე დაიწყებენ ჩვენთან იმ ურთიერთობას, რომელიც არსებობს სახელმწიფოსა და სახელმწიფოს შორის. ნეიტრალურმა სახელმწიფოებმა ზოგმა უკვე წინათ გვცნო, ზოგი ამიერიდან გვცნობს.

ამით საკითხი ჩვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, როგორც ყველას მიერ მიჩნეულ ფაქტის შესახებ, უკვე გადაწყვეტილია. მაშ რაღა დარჩა, რაც ჩვენი რესპუბლიკების ცნობა „de iure“.

სახელმწიფო განმარტოებით არ არსებობს; როგორც რობინზონი თავის კუნძულზე. როდესაც ბავშვი იბადება, დაბადების წამიდანვე იწყება მისი იურიდიული ურთიერთობა გარემოსთან—როგორც პირებთან, ისე საგნებთან. შეიძლება ეს ურთიერთობა უდავო და გამორკვეული არ იყოს (უფრო ხშირად ასეც ხდება), მაგრამ ამის გამო იმის თქმა, რომ ბავშვი არ არსებობს, შეუსაბამობა იქნებოდა. სახელმწიფოს არსებობის დასაწყისიდან კიდევ უფრო მეტი რთული და გასარკვევი საკითხები იბადება, ვიდრე ცალკე პიროვნების არსებობის დასაწყისიდან. და როდესაც გადაწყდება მთავარი ამ საკითხთაგანი, მაშინ მოხდება სახელმწიფოს ცნობა „de iure“.

უმაღლესმა საბჭომ, მაგ., დღეს უკვე იცის, რომ ამიერ-კავკასიაში არსებობს სახელმწიფო, რომელსაც საქართველო ეწოდება მან დაახლოვებით იცის სად იწყება და სად თავდება ეს სახელმწიფო. მაგრამ მან ჯერ-ჯერობით არ იცის ის მტკიცე და უდავო საზღვრები, რომელშიაც მოთავსებულია იგი. ამის გამორკვევა კი აუცილებლათ საჭიროა სახელმწიფოთა შორის წესიერ ურთიერთობისთვის და სანამ არ გადაწყდება მთავარი საკითხები საზღვრების შესახებ, გადაუწყვეტელია მისი მდგომარეობა, როგორც იურიდიულ პიროვნების.

კიდევ სხვა ამნაირივე საკითხები არის გადასაწყვეტი „იურიდიულათ“ (de iure) ცნობისათვის.

რომ სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს, ეს აშკარათ სჩანს იმ ცნობიდან, რომელიც მოსულა აზერბეიჯანის რადიო სადგურზე და რომელსაც ჩვენ ვათავსებთ ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში. ამ ცნობაში აღნიშნულია დაახლოვებითი საზღვრები იმ მხარისა, რომელსაც ამიერ-კავკასია ეწოდება და ბოლოს დამატებულია: „ეს ცნობა (დამოუკიდებლობისა) სრულიადაც არ სწყვეტს საკითხს ამ რესპუბლიკების საზღვრების შესახებო“. ასეთსავე პირობებში მომხდარა ყოველ ახლად-შობილ სახელმწიფოს ცნობა: ჯერ „ფაქტიური“ ცნობა, მერე „იურიდიული“. არავითარი ეჭვი არ იბადება იმის შესახებ, რომ ჩვენი სახელმწიფოების იურიდიული პიროვნება მთავარ საკითხების მხრივ ადვილათ გადაწყდება. ამიტომ არავითარი ეჭვი არ არის, რომ „ფაქტიურ“ ცნობას „იურიდიულიც“ მოჰყვება. მაგრამ მარტო „ფაქტიური“ ცნობაც არავითარ დაბრკოლებას და უხერხულობას არ წარმოადგენს ჩვენს რესპუბლიკებისათვის.

კულტურული მუშაობა ჯარში

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჯარში კულტურულ მუშაობას სერიოზული ყურადღება ექცევა. უკვე მოეწყო ცენტრალური კულტ. სექცია. იწყობა ყველა ნაწილებში აუდიტორიები და თეატრები, უნივერსიტეტი, სამკითხველოები. მალე წერა-კითხვის სკოლებიც დაიწყებენ მუშაობას. განძრახულია სინემატოგრაფის მოწყობა, გამოიცემა მთელი რიგი ბროშურებისა. შემუშავდა შესაფერი შტატი მასწავლებელთა, ლექტორთა, დაწვრილებით ხარჯთ-აღრიცხვა და სხ. გადაიდგა ნაბიჯები ჯარისათვის ოპერების და დრამის დასადგმელათ. ამ მიზნით სახელმწიფო თეატრში თვეში ორი დღე დაეთმო ჯარსა და გვარდიას.

პირველი ოპერა „აბესალომ და ეთერი“ უკვე დაიდგა კვირას 18 იანვარს. ჯარისკაცები და გვარდიელები დიდის აღტაცებით შეხვდენ და ოპერამ მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. აღსანიშნავია სამაგალითო წესრიგი თეატრში და სავსებით შეგნებული დამოკიდებულება ოპერისადმი.

კულტურულ მუშაობას ჯარში და გვარდიაში ჩვენ მეტად დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ ამიტომ არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ უსურვოთ სექციას ნაყოფიერი მუშაობა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ საჭიროა უფრო სწრაფი მოქმედება, მუშაობის უფრო გაცხოველება.

ჩვენ არ შეგვიძლიან უცადოთ მანამ ყველაფერი მოეწყობოდეს. ახლა ისეთი დროა, რომ გაკვრა-გამოკვრითაც ბევრის გაკეთება შეიძლება. განსაკუთრებით საჭიროა ჯარში მუშაობა. თვით ყაზარმის ცხოვრება დაჟინებით ითხოვს, რომ ჯარის კაცებს საშუალება ჰქონდეთ თავისუფალი დრო ცოდნის შეძენაში დახარჯონ. ჩვენი ქვეყანა მეტად ღარიბია მომზადებული პირებით და თუ სექცია ენერგიულათ იმუშავებს, ეჭვი არაა დიდ სამსახურს გაუწევს განსაკუთრებით ჩვენს სოფელს, რომელსაც წლინახევრის შემდეგ დაუბრუნებს იმდენათ მომზადებულ პირებს, რომ მათ შეეძლებათ თემების და თუ სხვა საზოგადოებრივი დაწესებულების გაძღოლა-ხელმძღვანელობა. ამ მხრით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს წერა-კითხვის სკოლებს და ლექციებს. მარა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯარში და გვარდიაში მრავალია ისეთი პირები, რომლებისათვის ადვილი დასაძლევი იქნება ზოგიერთი უფრო მაღალი ცოდნაც. სასურველია, ასეთი პირებისათვის გაიხსნებოდეს მოკლე ვადიანი კურსები ბუღალტერიიდან, სტატისტიკიდან, საერობო თვითმართველობის ტეხნიკური საქმის წარმოებიდან და სხვა ასეთები. უნდა ვიფიქროთ, სექცია ამასაც მიაქცევს ყურადღებას და მის მოგვარებას შეეცდება. მართალია ყოველივე ეს იწვევს ხარჯებს, მარა აქ დახარჯული ფული ერთი-ორათ დაუბრუნდება რესპუბლიკას. ამიტომ ეჭვი არაა დამფუძნებელი კრება უკლისათ დაადასტურებს გამოთხოვილ თანხას.

ამხ. ჯარისკაცებმა და გვარდიამ უნდა ეცადონ გამოიყენონ სამხედრო ვარჯიშობაზე გადარჩენილი თავისუფალი დრო სწავლა ცოდნის შესაძენათ. უსწავლელი, უცოდინარი და მოუმზადებელი კაცი მუდამ საცოდავი და საბრალო იქნება. რაკი ჩვენი ქვეყნის დაცვის ინტერესებმა ისინი ოჯახს და სოფელს მოგლიჯა, უნდა ისარგებლონ ერთად ყოფნით, დაეწაფონ მიწოდებულ სწავლა-ცოდნას და ვადის გათავების შემდეგ სოფელს მიუტანონ და მოახმარონ შეძენილი სწავლა-ცოდნა.

ჩვენ ვიცით, რომ ჯარისკაცები თვითონაც კარგათ გრძნობენ სწავლის და ცოდნის მიღების საჭიროებას. საქ რომ მაშასადამე ამ წყურვილის სავსებით დაკმაყოფილება და რამდენათ ამას შეძლებს სამხედრო კულტურული სექცია, იმდენათ ის დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი რესპუბლიკის გამაგრებას, გამტკიცებას, წინმსვლელობას და აყვავებას.

განი.

პრესა

ესერების გაზეთი „შრომა“ იგინება, იგინება ავლაბრულათ. აბა რა ქნას! კოკაში შინა რაცა დგას, იგივე წარმოდინდებისო—უთქვამთ.

„შრომა“ ჩვენ მიერ მოყვანილ ფაქტებს ჭორებს უწოდებს, თუმცა იქვე თვითონვე ადასტურებს. სამაზრო ერობის ხმოსანთა უმრავლესობის მიერ გადასახადების წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ „შრომა“ სწერს: „სამაზრო ერობამ ერთდროული გადასახადის გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის რეზოლიუცია გამოიტანაო“. ჩვენც სწორედ ეს ვთქვით. მაშინ, როცა ყველა ერობები ცდილობენ ხელი შეუწყონ მთავრობას გადასახადების აკრეფაში, ესერების ერობა უარყოფს ამ გადასახადებს და მის გადასინჯვას მოითხოვს. ამას თვით „შრომაც“ ადასტურებს. მაშ ვინ სთქვა „მტკნარი სიცრუე“—ჩვენ თუ „შრომამ“? ცხადია „შრომამ“.

ჩვენ ვწერდით: როცა ამ უკანონო და დემაგოგიური რეზოლიუციის შემდეგ გამგეობის თავმჯდომარე გადადგა—ეს პოსტი ჩვენმა ამხ. ხმოსნებმა ესერებს შესთავაზეს, მარა მათ არ მიიღეს თქო. „შრომა“ ამასაც სიცრუეს უწოდებს. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ „შრომა“ აქაც ისე, როგორც ყველგან და ყოველთვის, სტყუის. თავმჯდომარის ადგილი შესთავაზეს, მარა მათ არ მიიღეს. ამის შესახებ გამგეობის წევრმა ბ. შ. მოსიძემ (ესერია) იმავე ყრილობაზე შემდეგი განაცხადა: ახალ არჩევნებამდე თავმჯდომარეობის მიღება ჩვენ არ შეგვიძლია. ძალთა განწყობილება შიგნით და გარეთ არ გვიწყობს ხელს მესაჭეობა ჩვენ ხელთ ავიღოთ. ჯვარი, რომელიც უტვირთია ს. დ. აქამდე, ბოლომდე მანვე უნდა მიიტანოსო.

აქედან ყველასათვის აშკარაა, რომ ესერებს წინადადება მისცეს თავმჯდომარის ადგილი აეღოთ, მაგრამ მათ მოსიძის პირით ის უარყვეს და „ჯვარის“ ზიდვა ისევ ჩვენ მოგვთხოვეს. ვინ ამბობს სიცრუეს—ჩვენ თუ „შრომა“? ცხადია „შრომა“.

ჩვენ ვწერდით: ესერებმა მოჰკლეს ერობათქო. „შრომა“ ამასაც სიცრუეს უწოდებს, მარა ორიოდე სტრიქონით

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე დეშანელი.

კლემანსოს კაბინეტი გადადგა. ახალი კაბინეტი შეადგინა მილიერანმა.

ამერიკული რადიოს ცნობით უმაღლესმა საბჭომ ლოიდ ჯორჯის წინადადებით საბჭოთა რუსეთს ბლოკადა მოხსნა.

უმაღლესი საბჭო ნიდერლანდიის მთავრობისაგან მოითხოვს ვილჰელმის გაცემას.

ფიუმე დამოუკიდებელ ქალაქად იქნება აღიარებული. მისი ნავთსადგური გადაეცემა ერთა ლიგას.

ერთა ლიგაში შესვლაზე თანხმობა განაცხადა სპარსეთის მთავრობამ.

ქვეყნით დასძენს: ესერებს კი არ ჩაუკლავს ერობა, არამედ მოითხოვეს კანონის მიერ აღნიშნულ ვადაზე მისი ხელახალი არჩევნებით. როგორც ხედავთ „შრომა“ ადასტურებს, რომ ხელახალი არჩევნები მოითხოვა მათმა ფრაქციამ, გაიყვანა კიდეც და ასე ერობა დაშალა. ჩვენც ხომ ესა ვთქვით.

ყველა ერობები დღის თავის ადგილზეა, მუშაობს და იღვწის. ზუგდიდის კი არჩევნებს ახდენს, ახდენს ესერების წყალობით. და ამით ამაყობენ კიდეც: ეს „კეთილშობლური საქციელიაო“.

რამდენათ „კეთილშობლურია“, რამდენათ მიზანშეწონილია დღევანდელ კრიტიკულ პირობებში მუდმივი კანკალობა, ერობის დაშლა და მისი ხელ-ახალი არჩევნები—ამას იმედი გვაქვს ღირსეულად დააფასებენ ზუგდიდის ამრჩევლები და თავის ერობას იხსნიან ესერების თამაშობისაგან...

ადგილობ. მართველობის პირველი საფეხური

1

ერობათა კავშირის კომიტეტის დადგენილებით განზრახულია ადგილობრივი მართველობის ძირითად ორგანიზაციად, პირველ საფეხურად თანამედროვე სოფლის აღიარება.

ეს გადაწყვეტილება ფრიად საყურადღებოა და ჩვენი თვითმართველობის შენობას საჭირო მთლიანობას აძლევს.

დღეს ადგილობრივი მართველობის ძაფი ფაქტიურათ წყდება თემში. მაზრის ერობამ იცის რა ხდება თემის საბჭოში, თემის გამგეობაში, მაგრამ მისთვის უცნობია ის ვითარება, რომელსაც ადგილი აქვს სოფლათ.

ეს გარემოება საკმაოდ გაშუქა ბ. ბაჩანამ გაზეთ „ერთობის“ 27 და 28 დეკემბრის ნომრებში.

აქ ჩვენ გვაინტერესებს ამ კითხვის სხვა მხარეები და ის დებულებები, რომელიც შესაძლებელია წამოაყენონ სოფლის თვითმართველ ერთეულად გადაქცევის წინააღმდეგ ზოგიერთებმა.

როგორც ვიცით, რევოლუციამდე ჩვენ სოფელს ჰქონდა თვითმართველობის თავისებური სუროგატი წოდებრივი სოფლის სამმართველოს სახით, რაც განმარტებულია რუსეთის კანონთა კრებულის მეცხრე ტომში შესახებ სოფლის მდგომარეობაზე. სოფელი ამ ინსტიტუტს შეაჩვია და დღესაც სოფლის ყრილობა თვითმართველობათა ზოგიერთ ფუნქციებს ასხორციელებს: თვითდაბეგვრას, გზების შეკეთებას თავის საზღვრებში ნატურალური წესით და მრ. სხვა.

ბუნებრივი იქნებოდა, რომ ეს ფაქტიური მდგომარეობა იურიდიულ ფორმებში ჩამოგვეყალიბებია და სოფლის თვითმართველობა ერობის პირველ საფეხურად გვეცნო.

თუ ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ერი სახელმწიფოებრივი შემოქმედებას დავაჩვიოთ, არ არის საკმარისი დეკლარაციები ხალხის სუვერენულ უფლებებზე, საჭიროა უკანასკნელი პირდაპირ ჩავაბათ სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შემოქმედება ხალხისათვის უცნობია, ვინაიდან მეტ შემთხვევაში გაზეთი ჩვენი ხალხის ფართე მასამდი ვერ აღწევს და სახელმწიფოს ყოველდღიური შავი მუშაობა რჩება ფართე მასის ყურადღების გარეთ, და ეს მაშინ, როდესაც ეს მუშაობა მჭიდროთ არის დაკავშირებული ადგილებთან და პირველ ყოვლისა სოფელთან.

დეპუტატების გასტროლები მისაწდომია მცირე რიცხვისათვის და მას დიდი შედეგები არ მოაქვს. იგივე ითქმის ადგილობრივ თემის და მაზრის ერობის ხმოსნებზე.

ხალხის სახელმწიფოებრივ მუშაობაში ჩაბმით ჩვენ შევებრძოლებით არსებულ ყალბ წარმოდგენას მთავრობაზე, როგორც ხალხისაგან შორს მდგომ და მხოლოდ ზევიდან განმკარგულებელ დაწესებულებაზე.

ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე გლადსტონი თავის სიტყვაში მანჩესტერში 1885 წელს ამბობდა. „საჭიროა რაც შეიძლება დაუახლოვდეთ ხალხურ მასას და ვისარგებლოთ ქვეყნის ძველი განაწილებით მოვლენებით, რათა შევიტანოთ გლეხების და სასოფლო-სამეურნეო მუშების შეგნებაში პრინციპები და მოვალეობანი ადგილობრივი მართველობისა და უზრუნველვყოთ მათთვის მისი სიკეთეები. გაძლიერება სახელმწიფო მოღვაწე აღარ სცდებოდა. ამან მოიტანა ის, რომ თითეული ინგლისელი გრძნობს თავის თავს მოქალაქეთ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და თავისი მოვალეობათ მიაჩნია ყველა იმ თავისუფლებათა დაცვა, რომელიც მის წინაპართა ხანგრძლივი ბრძოლით არის მოხვეჭილი და იმავე დროს დაუყონებლივ აასრულოს მთავრობის ყოველგვარი კანონიერი განკარგულება.

ზოგი არ უარყოფს სრულიად რაიმე ძირითადი ორგანიზაციის არსებობას, მაგრამ, საკმარისად მიაჩნიათ მისი მხოლოდ ადმინისტრატიული ფუნქციებით აღჭურვა. თემის და მისი ერობის აღმასრულებელ ორგანოთ გადაქცევა.

მაგრამ ეს ჩვენის აზრით მიუღებელია, ვინაიდან თუ სოფლის ერობა მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოთ იქცა, მას უკეთეს შემთხვევაში მოელის იგივე ბედი, როგორც ძველი წოდებრივ სოფლის სამმართველოს, სადაც გაბატონდება იგივე ფორმალიზმი განკარგულებათა ასრულებისადმი, როგორც ადგილი ქონდა ძველად ან სრულიად გადაგვარება და ბუნებრივი სიკვდილი სოფლის ერობისა.

მასასადამე საჭიროა ძირითადი საფეხური მართველობისა იქნეს ერობა, უფრო პრიმიტიული ფორმის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ერთგვარი თვითმოქმედების და თვითმართველობის უფლებით აღჭურვილი.

ხშირად ასეთი დებულების წინააღმდეგ აყენებენ მოსაზრებათ სოფლად ინტელიგენტური ძალების უქონლობას. ამ არგუმენტს რაიმე მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთის სინამდვილეში, მაგრამ ჩვენში, სადაც იშვიათია სოფელი, სადაც სკოლა, ან კოოპერატიული დუქანი არ არსებობდეს ამ არგუმენტს დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

გარდა ამისა სოფლის თავი ან ჩვეულებრივად მამასახლისი მაინცა და მაინც დიდი განათლების პატრონი როდი უნდა იყოს. აქ საჭიროა გონიერი საღათ მოაზროვნე სოფლის მოქალაქე, რომელიც სოფლის კითხვებს გაართმევს თავს.

დღეს სოფლის ყრილობებში „სხოდში“ მეტ შემთხვევაში უსმენენ ასეთ დარბაისელ და გამოცდილ პირებს და მათი რჩევას ყურადღებენ.

თუ სოფლის სათავეში გაუნათლებელი პირები იქნენ, შესაძლებელია სოფელი ერთ წერტილზე გაიყინოს და არავითარი წინმსვლელობას არ ექნეს ადგილი, ვინაიდან სოფლელები ძალიან უფრთხიან ყოველგვარი ცვლილებებს, მით უმეტეს, რომ ეს ხარჯებთან არის დაკავშირებული, გამოცდილება ამ დებულების წინააღმდეგ ლაპარაკობს. სოფლელები მართალია ფრთხილნი არიან ყოველგვარი ცვლილების დროს, როგორც საერთოდ სჩვევია წვრილი მიწის მესაკუთრეებს, მაგრამ მაინც ვერ ურიგდებიან მოუწყობლობას და მუდამ გამოაქვთ განჩინება თავისი გზის ნატურალური წესით შეკეთების შესახებ, მდინარის მსვლელობათა მოწესრიგებაზე, წყლებით საერთო სარგებლობაზე და სხ. ეს სიფრთხილე იმავე დროს ერთგვარი გარანტიაც არის იმისი, რომ გადაჭარბებული ხარჯებს არ აწარმოებს სოფელი, რომლებიც მას დაავალიანებს უქნიან, ვინაიდგან ასეთ შემთხვევებში, როგორც აღვნიშნეთ, სოფელი თავისი ჯიბით არის პასუხისმგებელი.

მე მგონია ასეთ პირობებში მოხდება ის, რომ ერთგვარი წონასწორობა იქნება დაცული ადგილობრივ შემოქმედებაში, რაც სავსებით დააკმაყოფილებს სოფლის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობას და იმავე დროს თვითმართველობის იდეას საბოლოვოდ განამტკიცებს.

შესაძლებელია სთქვან, ვინაიდან სოფლის ერობის ტერიტორია შეფარდებულია ძველი მრევლის ტერიტორიასთან, ან განზრახულია მას შეუფარდონ, მოსალოდნელია სოფლის ერობაში კლერიკალური აგიტაციამ ფეხი მოიკიდოს.

ჯერ ერთი რომ სრულიად არ არის გადაწყვეტილი უსათუოდ ძველი მრევლებს შეუფარდოთ სოფლის ერობის ტერიტორია. ინგლისის დღევანდელი მრევლი ფაქტიურად ძველი საეკლესიო ტერიტორიას გადაცილებულია. ჩვენ შეიძლება სხვა საფუძვლიდან გამოვიდეთ სოფლის ერობის ტერიტორიის გამოკვეთაში. შესაძლებელია ის შეუფარდოთ სოფლის სკოლის ტერიტორიას და ცენტრათ და ერთგვარ კანცელარიათ ეკლესიის ნაცვლათ სკოლა ვაღიაროთ.

არსებითად ამას დიდი მნიშვნელობა არ ექნება, ვინაიდგან ეს უფრო ტეხნიკის საკითხია, ვინემ პრინციპის. როგორ უფრო ხელსაყრელი იქნება ადგილობრივი პირობებისა და მიხედვით, ისე გამოიკვეთება სოფლის ერობის ტერიტორია.

რაც შეეხება კონფესსიონალური აგიტაციას საამისო ნიადაგი ჩვენში, ზოგიერთ გამონაკლის თუ არ მივიღებთ მხედველობაში, არ მოიპოვება.

ჯერ ერთი ეკლესია გამოყოფილ იქნება სახელმწიფოსაგან, რის შემდგომ ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლებს ისეთივე დამოკიდებულება ექნებათ სოფლის ერობისადმი, როგორც დანარჩენ მოქალაქეს და მითი ცოდნა გამოცდილებით შესაძლებელია სოფელმა კიდეც ისარგებლოს. რასაკვირველია ამ შემთხვევაში სასულიერო წოდების წარმომადგენელს შეუძლია სხვა მიზნით გამოიყენოს თავისი ოფიციალური მდგომარეობა, თუმცა არა მგონია რაიმე საგრძნობი ზიანი მიაყენოს ამან სოფელს, ვინაიდგან თემის კანტროლი და აგრეთვე ყოველი მოქალაქეს საკმაო გარანტიას იძლევა ამის წინააღმდეგ.

სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნულ იქნას, რომ ჩვენი სამღვდელოება არ წარმოადგენს ისეთი რეაქციონურ კლასს, როგორც ეს რუსეთში იყო ან დასავლეთ ევროპაში, ვინაიდგან ჩვენში ის სარწმუნოებრივი უკიდურესობანი და ფანატიზმი, რომელიც აგრე დამახასიათებელია, უცხო ხილია ჩვენს სინამდვილეში. ცოტა დამაფიქრებელია იმ ადგილების მდგომარეობა, რომელიც უცხო ტომებით არის დასახლებული, განსაკუთრებით თათრებით, მაგრამ მე მგონი კანტროლის ჯეროვანი სიმაღლეზე დაყენებით ჩვენ შევძლებთ აქაც მავნე აგიტაციის აღკვეთას.

სოფლის თვითმართველობის ძირითად ერთეულად აღიარების სასარგებლოთ ლაპარაკობს სხვა გარემოებაც. დღეს მაზრის ერობის მუშაობა მეტად გართულებულია. მისი მუშაობა ენციკლოპედიურია. და ის ხშირათ შაბლონებით მუშაობს, ყველას და ყოველის გათანასწორებისა და ერთი საზომით ზომავს და სჭრის.

ხშირად მაზრის ერობა უწევს დახმარებას ისეთს სოფელს, რომელიც მასში ჯერ-ჯერობით არ საჭიროებს, იმავე დროს მეორე სოფელი ამაში გაცილებით უფრო მეტს საჭიროებს. პურის მოსავალი ერთგან ყოფნის სამი თვე, სხვაგან კი 6 თვე და სხ., ამის გამორკვევა ყველაზე უკეთ თვით სოფელს შეუძლია, როდესაც მას წინასწარ ეცოდინება რესურსების რაოდენობა ის შეუფარდებს თავის მოთხოვნას.

ავიღოთ ახლა სტატისტიკური ცნობების მოგროვება. წინანდელი სისტემა მოხალისე კორესპონდენტებისა დღეს მიუღებელია იმ უბრალო მოსაზრებით, რომ არავის უნდა უფასოთ ცნობების მიწოდება. სოფლის ერობა კი მოვალე უნდა გავხადოთ ასეთი ცნობები შეკრიბოს, როგორც არის დაბადება, დაქორწინება როგორც სამოქალაქო ისე საეკლესიო წესით, და მოსავალი, ავათმყოფობის მსვლელობა, საქონლის ჭირის და სხ. ამ ცნობების სისწორის გარანტიისათვის საჭიროა რომ ეს საქმე დაევალოს სოფლის ერობას, ვინაიდან თემი, როგორც ახლა ხშირად ხდება, კმაყოფილდება მეტ წილად შემთხვევით შეკრებილ ცნობებით, ადგილობრივი დათვალიერება ყოველთვის მიუწდომელია და ძნელი განსახორციელებელიც.

ყოველი დარგი შემოქმედებისა ითხოვს განსაკუთრებით ყურადღებას ადგილობრივათ დაინტერესებულ პირებისა. სოფელი პირდაპირი მოწმე ამ მუშაობისა ვერ გახდება გულგრილი მაყურებელი, როდესაც მაზრის ერობის მიერ დანიშნული ექიმი თავის მოვალეობას პირნათლათ ვერ ასრულებს, ან როდესაც სოფლის მასწავლებელი ცუდათ ამაცდენინებს ბავშვებს, ან სასოფლო-სამეურნეო იარაღები არ ნაწილდება წესიერათ, როდესაც დამშეულთ არ უწევენ ჯეროვან დახმარებას და სხ.

რასაკვირველია ნათქვამი სრულიად არ გულისხმობს, რომ ჩამოთვლილ საქმეების გაძღოლა სოფლის ერობას დაევალოს, ეს საქმისათვის საზიანო იქნებოდა, მაგრამ სოფლის ერობის კანტროლი კი ერობის ადგილობრივ მუშაობას გააცხოველებდა და ბიუროკრატიულ რუტინას გადაარჩენდა.

მეორე აზრით, თუ სოფელმა მხოლოდ თემის იმედით იცხოვრა, ის შორს ვერ წავა. ხშირად მისი სასოფლო გზები, რომლებთაც დაინტერესებულ სოფლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, უმნიშვნელოა თემში მყოფ სხვა სოფლებისათვის და ისინი გაუკეთებელი დარჩებიან; პატარა მდინარე, რომელიც წვიმების დროს გადმოდის ნაპირებიდან და დიდს ზარალს აყენებს ადგილობრივ, შეიძლება მოუგვარებელი დარჩეს, თუ თვითონ სოფელმა არ გამოიჩინა უნარი და მრავალი სხ.

თუ ჩვენ გვსურს, რომ ჩვენი ადგილობრივი მართველობა იქნეს მტკიცე ნიადაგზე დაყენებული, საჭიროა, რომ ადგილობრივი მეურნეობა მოგვარებულ იქნას ადგილობრივად დაინტერესებულ პირების მიერ და ეს იმავე დროს იქნება უდიდესად სახელმწიფოებრივი საქმე და მართველობის არსებული სისტემის განმამტკიცებელი.

მ. ც—შვილი.

უკანასკნელი ცნობები

სამი ახალი სახელმწიფო.

ინგლისური პრესა იტყობინება: უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა იცნოს „დე ფაქტო“ სომხეთის, საქართველოს და აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა. ამ სამ ახალ სახელმწიფოებს უჭირავთ მხარე, რომელიც ისაზღვრება არარატის მთით კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირების სამხრეთ ნაწილით და შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირებით. მაგრამ ეს ცნობა სრულიადაც არ სწყვეტს საკითხს ამ რესპუბლიკების საზღვრების შესახებ. სომხეთის სტატუტი განხილული იქნება ოსმალეთის საზავო ხელშეკრულებასთან ერთად.

დეპეშები

(საქართველოს ტელეგრაფო სააგენტო)

20 იანვარი

ფრანგული პრესის ცნობები

კენიგსბერგიდან იუწყებიან: მემელის ტერიტორიის კომისარმა გრაფ ლამბლორფმა გამოსცა განკარგულება, რომლის ძალითაც მემელის ტერიტორიაზე სუვერენული უფლება მოკავშირეების ხელში გადადის. ყველა სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობის პირნი და მოხელენი თავის მოვალეობას შეასრულებენ ძველი კანონების მიხედვით. მემელის ტერიტორია გერმანიიდან გაყოფილია საბაჟოთი. რუსეთთან საბაჟო საზღვარი ძველებურათ რჩება.

ფიუმე ხდება დამოუკიდებელ ქალაქად, მისი ნავთსადგური გადაეცემა ერთა ლიგას. ქალაქი სუსაკი გადაეცემა სამხრეთ სლავებს.

კლემანსო თავს ანებებს პოლიტიკურ ცხოვრებას და ჟურნალისტობას. იგი მომავალ კვირას დასასვენებლათ წავა ვანდეის, სადაც შეუდგება მემუარების წერას ომის შესახებ.

ერთა ლიგასთან შეერთებაზე თანხმობა სპარსეთის მთავრობამაც.

შაბათს, 17 იანვარს დეპუტატთა პალატა და სენატი პრეზიდენტის ამოსარჩევად ვერსალში შეიკრიბა. დილიდანვე ვერსალის ქუჩებს დიდი სიცხოველე ეტყობოდა. კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა 889 კაცი რესპუბლიკის პრეზიდენტათ 734 ხმით ამოირჩიეს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე დეშანელი.

შაბათს დიუტასტამ პარიზში მყოფ ჰოლანდიის ელჩს ლოუდონს გადასცა ნიდერლანდიის მთავრობისადმი მიმართული უმაღლესი საბჭოს ნოტის ტექსტი გერმანიის ექს-კაიზერის გაცემის შესახებ. ეს დოკუმენტი საზავო ხელშეკრულების 227 მუხლს ეყრდნობა.

კვირას, ელისეის სასახლეში კლემანსოს კაბინეტის წევრები უკანასკნელ სხდომაზე შეიკრიბენ. ამის შემდეგ კლემანსომ პუანკარეს გადასცა თხოვნა მთელი კაბინეტის კოლექტიური გადადგომის შესახებ.

დიპლომატიური მოლაპარაკება რომ არ შესწყდეს, ამიტომ კლემანსო უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობის მოვალეობას არ მოიხსნის მანამდის, სანამ ახალი მთავრობა არ შედგება. საზავო კონფერენციის მთავარი სამდივნო არის მუდმივი დაწესებულება და მით უზრუნველყოფილია კონფერენციის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში პრინციპიალური გატარება.

(დასაწყისი არ მიგვიღია). 14 მინისტრი და 9 მათი ამხანაგი წარმოდგენილია შემდეგი პირების სახით: საბჭოს თავმჯდომარე და გარეშე საქმეთა მინისტრი ალექსანდრე მილიერანი, სამხედრო მინისტრი—ანდრე ლეფევრი, საზღვაო—ლიანდრი, იუსტიციის—გუსტავ ლ ოპიტო, ფინანსთა—მარსალი, შინაგან საქმეთა ჯერ არ არის ამორჩეული, ვაჭრობის—იზააკი, მიწად მოქმედების—რიკარი, საზოგადო შრომისა და ტრანსპორტის—ლე ტროკე, ახალშენების—ალბერტ სარრო, განათლებისა და ხელოვნების—ანდრე ონორა, შრომის—ჟურდენი, სოციალურ ჰიგიენის — ბრეტონი, განთავისუფლებული ოლქების—ოჟიე. მილიერანმა მოსპო მრეწველობის აღორძინების სამინისტრო და დაარსა ახალი სამინისტრო ჰიგიენისა შინაგან საქმეთა მინისტრის დანიშვნას ამ 1 დღეში ელიან. ხუთშაბათს იქნება ახალი კაბინეტის პირველი სხდომა. იმავე დღესვე კაბინეტი, პალატებს წარუდგება. დეკლარაციაში მილიერანი დასახავს თავის პოლიტიკურ პროგრამას.

ბოლშევიკური ცნობები

მოსკოვი, იანვ. 17. შრომის არმიის შედგენის გამო გაზეთი „იზვესტია“ სწერს: „ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ბრძოლა რუსეთის მოსისხლე მტრებთან და უკვე მთელი ლაშქარი, რომელიც სულ ახლო წარსულში იარაღით მტერს ებრძოდა გარდაქმნილ იქნა შრომის არმიათ და იბრძვის ჩვენი მშვიდობიანი აღორძინების ნიადაგზე. როგორც კი ისტორიის მსვლელობამ საშუალება მოგვცა ოდნავ თავისუფლად ამოგვესუნთქა, ჩვენ მაშინვე შევუდექით სამხედრო გაწვეულთა დიდი ნაწილი თავის ნამდვილ საქმისაკენ, შრომისაკენ დაგვებრუნებინა.

მოსკოვი. იან. 17. შესახებ ტრანსპორტის აღდგენისა გაზეთი „პრავდა“ სწერს: „ჩვენი ჯარის ზურგი ფრონტად იქცა. ეს ახალი ფრონტი, ყველაზე უფრო მძიმე და პასუხსაგებია. ის არის ფრონტი თავგანწირული შრომისა სოფლებში, ქარხნებში, მაღაროებში და რკინის გზებზე. ის მოითხოვს განსაკუთრებულ აღფრთოვანებას და გმირობას. სწორედ აქ რკინის გზის ფრონტზე სწარმოებს ჩვენთვის საბედისწერო, სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა. ტრანსპორტის აღდგენა, ეს ჩვენი დანგრეული ცხოვრების აღდგენას უდრის. სამეურნეო ფრონტი ეს ჩვენი უკანასკნელი ფრონტია.

მოსკოვი. სამხ. ცნობები. იან. 17. რიგის რაიონის მთელ ფრონტზე ცვალებადი ხასიათის ბრძოლა სწარმოებს. ოვრუჩისა და ნოვოგრადვოლინის რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. ელიზავეტგრადის აღმოსავლეთით სასტიკი ომი სწარმოებს. ხერსონის მიმართულებით ჩვენ ავიღეთ კრივოი როგი. სადგური აპოსტოლოვის რაიონში ბრძოლა გრძელდება.

ველიკოკნიაჟესკაიას მიმართულებით ჩვენი ჯარი გადავიდა მდ. დონზე და მარიინსკის რაიონში იბრძვის. ცარიცინ ტიხორეცკაიას რკინის გზაზე ჩვენმა ჯარმა უკუ აქცია მტერი და გადავიდა მდ. სალზე. კრასნოიარის რაიონში ჩვენ ავიღეთ ქ. კანსკი.

ვინაიდან საბჭოთა მთავრობამ სავსებით გაიმარჯვა რუსეთის რევოლიუციის მტრებზე, სრ. რუს. ცენ. კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენს. მოისპოს სიკვდილით დასჯა, როგორც საგანგებო კომისიათა, აგრეთვე თვით უზენაესი ტრიბუნალის დადგენილებითაც. დადგენილებას ხელს აწერენ სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე კამენევი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ულიანოვ-ლენინი, საგანგებო კომისიათა თავმჯდომარე მერჟინსკი და ცენტრალურ აღ. კომიტეტის მდივანი ენუქიძე.

მოსკოვი სამხედრო ცნობები. იან. 18. ხერსონის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა სასტიკი ბრძოლის შემდეგ აიღო სადგური აპოსტოლოვო. პერეკოპის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა აიღო სოფელი ალაიანი. დონის რაიონში კონსტანტინოვსკაიას სამხრეთით ჩვენი ჯარი მიიწევს დიდი და პატარა მეჩეტნაიას და ვესელოვსკაიასაკენ.

ლონდონი. იან. 18. ამერიკის რადიოს ცნობა. საბჭოთა რუსეთის ბლოკადის მოხსნის გამო მთელი პარიზის პრესა სავსეა ერთი მეორეს საწინააღმდეგო ცნობებით. შეთანხმება მხოლოდ იმაშია, რომ ყველანი ერთად ჰკიცხავენ ინგლისს. პრესის აზრით ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება მიეწეროს თვით საბჭოს, არამედ,—ამომდინარეობს ლიტვინოვისა და ოგრიდის შორის წარმოებულ მოლაპარაკებიდან. ამ უკანასკნელმა თავის მოხსენება წარუდგინა ლოიდ ჯორჯს, რომელმაც მოიწონა იგი. ამის შემდეგ შეტანილ იქნა უმაღლეს საბჭოში სათანადო წინადადება ბლოკადის მოხსნის შესახებ, რომელსაც მხარი დაუჭირა ინგლისთან ერთად იტალიამაც და წინადადება მიღებულ იქნა. ამგვარათ, მოკავშირეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილების ინიციატივა ლოიდ ჯორჯს ეკუთვნის. ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია აგრეთვე იტალიის პალატის განცხადებამ და აგრეთვე ნიტიმ, რომელმაც განაცხადა, რომ იტალიამ პასუხი მხოლოდ რუსეთიდან უნდა მიიღოსო. საფრანგეთის კონსერვატიული პრესა აშკარათ გამოსთქვამს თავის უკმაყოფილებას აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებით, მხოლოდ საფრანგეთის ფინანსიური წრეების ამ დათმობით ინგლისს სურს გავლენა მოიპოვოს საბჭოთა რუსეთის პოლიტიკაზე, ინდოეთსა, ავღანისტანსა, სპარსეთსა და ეგვიპტეში. საფრანგეთის სოციალისტურ წრეებში დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ამ გადაწყვეტილების გამო.

ახალი ამბები

პანაშვიდი დ. ყიფიანის, ი. ჭავჭავაძის და ა. წერეთლის ხსოვნის აღსანიშნავად. კვირას, 18 იანვარს, დილის 11 საათზე, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის ინიციატივით მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და დ. ყიფიანის ხსოვნის აღსანიშნავად. წირვა გადაიხადა სრულიად საქართველოს პატრიარქმა ლეონიდემ. პანაშვიდს დიდძალი საზოგადოება დაესწრო. დაესწრნენ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები, დამფუძნებელი კრების წევრები და სხვა საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. სიტყვები წარმოსთქვეს ა. პაპავამ, ვ კოტეტიშვილმა და დუტუ მეგრელმა.

◆ **ამერიკის კონსულის ჩამოსვლა.** 19 იანვარს თფილისში ჩამოვიდა ამერიკის მთავრობისაგან საქართველოში გენერალურ ელჩად დანიშნული ჩარლზ მოზერი. მოზერი დაბინავდა ამერიკის დროებით ელჩად ნამყოფ დულიტლის ბინაზე. დულიტლი საელჩოს შემადგენლობაში დარჩა და ირიცხება ელჩის პირველ მოადგილეთ.

◆ **ხან ხოისკის ჩამოსვლა.** 19 იანვარს ბაქოდან თფილისში ჩამოვიდა აზერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ხან ხოისკი.

◆ ციხეთა ინსპექტორის განკარგულებით, სამსახურში ბოროტმოქმედებისათვის დატუსაღებულ იქნა, ახალციხის ციხის უფროსი ჩიქოვანი.

◆ **ყველი.** ქალაქის სასურსათო განყოფილებამ შეიძინა კარგი ღირსების თუშური ყველი. სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებს მიეცემათ ოჯახზე 3 გირვანქა 35 მ. გირ.

◆ **„საქართველოს ცენტრალური** კოოპერატიული კავშირი სთხოვს ყველა სარაიონო კავშირების ინსტრუქტორებს და ცალკე კოოპერატივებს დააჩქარონ წლიური ანგარიშების გამოგზავნა“.

◆ **გაიხსნა საქალაქთაშორისო** ტელეფონის მოქმედება თფილისსა და თიონეთის და თფილისისა და ეკატერინოვკის შორის ლაპარაკისათვის შემდეგი ფასის გადახდევინებით: ჩვეულებრივი ლაპარაკისათვის ერთ წუთში 2 მანეთი სასწრაფო 6 მან. დავალების შესრულებისათვის 2 მან. ორივე შემთხვევაში.

◆ **სოფელ ჯავაში** (გორის მაზრა), რომელიც დაშორებულია ცხინვალზე 21 ვერსით, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, ყოველგვარი კორესპონდენციის გაცვლა-გამოცვლას აწარმოებს გორის კანტორასთან.

◆ **თფილისში** დაარსდა ამერიკულ საშუამავლო კანტორების მსგავსად ქართული საშუამავლო კანტორა, რომლის მიზანია სავაჭრო და საინფორმაციო ურთიერთობა დაამყაროს საფრანგეთსა, იტალიასა და ინგლისთან.

◆ **აგრონომთა ყრილობა** 25 იანვარს სასოფლო სამეურნეო საზოგადოების ბინაზე გაიხსნება საქართველოს რესპუბლიკას საერობო აგრონომთა ყრილობა.

◆ **სწავლის ფულის მომატება.** სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო გადასახადი ამ სემესტრიდან 300 მანეთამდი გადიდდეს.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს საღამოს ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „ლალატი“ სუმბათაშვილის. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს ვოლ-ლევიცკაიას, ზალიპსკის, ინაშვილის, საზინის მონაწილეობით „ბოგემა“ ხუთშაბათს, 22 იანვარს „აბესალომ და ეთერი“, 23 იანვარს გლაზის ბენეფისი „მინიონი“.

◆ **ლექცია.** სახალხო გვარდიის ცხენოსან დივიზიონში ხუთშაბათს 22 იანვარს საღამოს ექვს საათზე წაიკითხავს ლექციას ალ. გორგაძე: „საქართველოს ისტორიული და თანამედროვე საზღვრები“.

◆ **დავკარგე მე**, ვასილ ლევანის ძე ქოპულიამ, მანდატი ხონის რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის № 127 რომელიც დღეიდან ითვლება გაუქმებულად.

◆ **ოჯახებში მოსამსახურეთა** კავშირის გამგეობა ღრმეს მადლობას უცხადებს მეცხრე კომისარიატის კომისარს ბ. ქუთათელაძეს, რომელმაც კეთილ ინება და მეეზოვეების სექციას შესწირა რვაასი მანეთი.

[illegible]

ხუთშაბათს, 22 იანვარს, საღამოს 5 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მესამ რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. სავალდებულოა სხდომას დაესწრონ სარევიზიო კომისიის წევრები და იაჩეიკების წარმომადგენლები, რომლებიც კი არსებობენ ავლაბრის რაიონში.

ბათუმი

12 იანვარს „პოგრომში“ მონაწილეობის მიღებისათვის დატუსაღებულ იქ და სამ-სამი თვის კატორღის სამუშა მიესაჯა შემდეგ პირთ: ი. სიმონიანც ბლა აზედ-ოღლი, პეტროს სეტროგიანი აკოპ კარაპეტიანი, სარქის პოღოსოვ პოღოს შმავონიანი, აქტარ მარდიშევ მ. ოცაიანტი, დიმიტრი მეხიტაროვ რასულ მემედ-ოღლი, ეფრემ რომანო ვი, გრ. კარაპეტოვი, ხ. ლიპონოვ ნავაროდი, გ. შელამიძე, მაგომეტ რა შიდ ოღლი, აკოპ ოგანესოვი, მარტ

რის არუტიუნოვი, ე. კვანდუსიანი, მარტიროს ჩილიანცი, ადამ აბრამოვი, ნ. კაზანდოიანი, ა. მინასიანცი, სარქის ტასალვიანი და სხ.

3 იანვარს, ოთხი თვის სიჩუმის შემდეგ პირველად გაიმართა პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს საზოგადო კრება. მოისმინეს იქნა საბჭოს თავმჯდომარისა და საგამომძიებლო კომისიის მოხსენებები. პირველ მოხსენებაზე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა თავჯდომარის მოხსენება საბჭოს მუშაობის შესახებ საბჭოს აუცილებელ საჭიროთ მიაჩნია მიღებულ იქნას ყოველივე ზომები კრებების ხშირათ მოსაწვევათ სერიოზულ კითხვების გარჩევის და მცირე საბჭოსათვის (პრეზიდიუმისათვის) დირექტივების მიცემის მიზნით; 2) საბჭოს აუცილებელ საჭიროებათ მიაჩნია მოისმენილ იქნას სასურ. კომიტ. მუშათა ჯგუფის მუშაობის შესახებ მოხსენება; 3) საბჭო ანდობს პრეზიდიუმს, რომ შრომის კომიტეტმა და მისმა მუშათა ჯგუფმა კერძოთ მიიღოს ყოველივე ზომები სასურსათო და სავალუტო საკითხების მოსაწესრიგებლათ; 4) საბჭო ანდობს პრეზიდიუმს მიიღოს ზომები ლტოლვილთა მოსალოდნელ ტალღათა დენის ასაშორებლათ“.

მილოცვები დამოუკიდებლობის აღიარების გამო

ბურჯაანი. მრავალ რიცხოვანი მიტინგი ბაკურციხის თემის მცხოვრებთა მიესალმება მთავრობისა და დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ. ულოცავს ბრწყინვალე გამარჯვებას საგარეო პოლიტიკაში და ფიცსა სდებს ემსახუროს მთელი თავის ძალ-ღონით ჩვენს ნორჩსა და თავისუფალ რესპუბლიკას დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებულს.

ბაკურციხის თავმჯდომარე **ვიკტორ ვაჩნაძე.**

სამტრედიის დეპოს სოც.-დემოკრ. „იასჩეიკის“ არაჩვეულებრივმა კრებამ მოისმინა რა მოხსენება მომენტზე დამფუძნებელ კრების წევრ. პავლე წულაიასი აღფრთოვანებით მოგესალმებათ თქვენ და გილოცავთ დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს.

ბიუროს თავმჯდომარე **ამბროსი ალანია.**

სოხუმი. საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სოხუმის საოლქო და ქალაქის კომიტეტები, ულოცავს დიად მომენტს—დამოუკიდებლობის ცნობას და აღუთქვამს რესპუბლიკის პასუხსაგებ ორგანოებს ყოველ გვარ დახმარებას.

პარტიის კომიტეტი.

ქვათურა. თვალტვეთის და სკინდორის კოოპერატორების საზოგადო კრება აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას ევროპის მიერ და ულოცავს დამოუკიდებლობას მთელ ერს თავის ბელადების სახით, უსურვებს საქართველოს წინსვლას და გაძლიერებას. გაუმარჯოს ერთა თვით გამორკვევას, გაუმარჯოს საქართველოს!

თავმჯდომარე **აბაშიძე.**

მუსულმანობა და ბოლშევიზმი

„**ნა რუბეჟე**“ მე-6 ნომერში მუსტაფა ჩოკაევის ყურადსაღები წერილია მოთავსებული, რომელიც შეეხება ბოლშევიკების პოლიტიკას აღმოსავლეთში და კერძოთ თურქესტანში.

ბოლშევიკებს, ავტორის თქმით, კოვზი ჩაუვარდათ ნაცარში: ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის შეგნებულმა მუშებმა არ მოახდინეს რა სოციალისტური რევოლუცია დასავლეთში, მოსკოვის „სოვნარკომი“ ამ ჟ მალ თავის ყურადღებას აპყრობს აღმოსავლეთს და პირველ ყოვლისა თურქესტანს—როგორც „აღმოსავლეთის გასაღებს“. აქ თურქთა ხალხის სავანეში, ინდოეთის დიდ მონგოლების პეშვართან, რუსეთის კომუნისტებმა მოინდომეს აღმოსავლეთის განმათავისუფლებელი რევოლიუციის ცეცხლის დანთება.

ჩვენს ხელთ არის, სწერს მ. ჩოკაევი, წერილები, განკარგულებანი, რეზოლიუციები და სხვ., რომელიც ეკუთვნის უკანასკნელ პერიოდს (აგვისტო, ნოემბერი 1919 წ.) და რომელიც ნათლად აშკარავებს ბოლშევიკების მიერ კომუნისტურ მონ-ბლანიდან ძირს, მიწაზე დაშვებას, მუსულმანთა იდეალების და ზრახვათა შეგნებას.

აი ერთი მათი დოკუმენტის შინაარსი: უწინ, ცარიზმის დროს ადმინისტრაციის ყოველივე მოხელეს თურქესტანის დებულების მე-64 მუხლის თანახმად ჰქონდა უფლება ჩვენი შეპყრობის და ციხეში ჩაწყვდევის, კერენსკის მთავრობის დროს თურქესტანის რევოლიუციონური პარტიები არ გვეკარებოდნენ ჩვენ ახლოს, საერთო მუშაობაში ჩვენ მონაწილეობას არ ვღებულობდით ახლა კი ბოლშევიკების ხელში, მართალია, მათი დიდი დანაშაული მიუხედავათ ჩვენ, ხალხის წინაშე, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ სწორის ნაბიჯით მივდივართ დასახულ მიზნისაკენ — გავხდით ბატონპატრონნი ჩვენი ქვეყნის. ბოლშევიკები ჩვენგან მოითხოვენ მხოლოდ შემდეგს: არ ავიღოთ იარაღი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და მეორე შევებრძოლოთ იმპერიალიზმის აღდგენას. ჩვენის მხრით ჩვენ ვეწერებით კომუნისტების პარტიაში ერთად ერთი აზრით, მივაღწიოთ ჩვენს ნაციონალურ მისწრაფებას. ჩვენ და კომუნისტები კმაყოფილნი ვართ ერთი ერთმანეთით“.

ასე იწერებიან თურქესტანიდან. ბოლშევიკები თავიანთ მოქმედებას მარტო იმით არ საზღვრავენ, რომ აკმაყოფილებენ თურქესტანის მუსულმანობის ნაციონალურ მოთხოვნილებებს.

ბუხარის ემირი, რომელიც დღევანდლამდე „მენშევიკების“, *) წრეში ითვლებოდა და თავის სამფლობელოში სასტიკათ სდევნიდა ყველა იმ მუსულმანებს, რომელთაც ევროპიულ ტანსაცმელს ატარებდა. ახლა ავღანის ემირის ამანულხანის და ყიზილბაშის რჩევით თურქესტანის საბჭოთა მთავრობასთან კავშირის დაჭერას აპირებს. **)

ბოლშევიკები კარგად სარგებლობენ მდგომარეობით, მათ კარგად იციან, თუ რა აერთებთ თურქესტანის მუსულმანებს სხვა მუსულმანობასთან და თავიანთ მუშაობას ამ მხრივ აწარმოებენ. „მთელი მსოფლიოს მუსულმანები ან ერთად დაიხოცებიან, ანდა მიაღწევენ მიზანს მოაწყონ თავიანთი ცხოვრება ბედნიერათ. ძმებო მუსულმანებო, შეერთდით რუსეთის პროლეტარიატს, რუსეთის პროლეტარიატი გაგანთავისუფლებთ თქვენ მონობისაგან“. (თურქესტანის საბჭოთა მთავრობის ერთი ხელმძღვანელის სიტყვა).

საბჭოთა მოღვაწეები მუსულმანებს ეუბნებიან, რომ „ავგანის“ ემირი ხაბიბულა ხანი ერთი ტყვიით იქნა ჩამოგდებული მხოლოდ იმიტომ, რომ ის თავის კეთილდღეობას ისლამის ინტერესებზე მაღლა აყენებდა. ***)

კომუნისტები ეძებენ ყველგან მოკავშირეებს და უნდა ითქვას სინართლე, პოულობენ კიდევაც. მათ სრულიადაც არ აინტერესებთ თავიანთი მომხრეების კლასიური და სოციალური მდგომარეობა. ნაციონალ-შოვინისტი, პ.ნთურქისტი, პანისლამისტი, კლერიკალი ყველა მათთვის ერთია, ოღონდ ინგლისის მტერი იყოს. ეს თავისებურ ნაყოფს იძლევა. ერთი გაკომუნისტებული მუსულმანი აგიტატორი, რომელიც თურქესტანის ცენტრალურ სოვნარკომის მიერ იყო სააგიტაციოთ გაგზავნილი ადგილობრივ მცხოვრებლებში, იმეორებდა სიდ ჯამან ედინის აზრებს, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ მუსულმანთა ქვეყნებიდან უნდა განდევნილ იქნენ ყველა ევროპიელები (აქ არც ბურჟუები არიან, არც მენშევიკები და მემარჯვენე ესერი და არც ინგლისელები, აქ უფრო მეტია). ორატორი დიდი აღფრთოვანებით მოუთხრობდა ათასზე მეტს შეკრებილ ხალხს შემდეგს: მუსულმანობა, მისი რელიგია ისლამი და ჩვენი დიდი წინაწარმეტყველი მუჰამედი ყველას სძაგს ევროპაში. მთელი ევროპა, მთელი საქრისტიანო ხალხი ოცნებობს მოსპოს ისლამი, დაიპყრონ მუსულმანები. იმას, რასაც ევროპიელები თავიანთ ქვეყანაში ეძახიან ნაციონალურ სინდისს, ჩვენში კი ამგვარ გრძნობას ფანატიზმს უწოდებენ. საერთაშორისო ოფელბა ევროპიელების არ სცნობს მუსულმანობას ქრისტიანების მზგავსს ხალხათ. არც რუსეთის დამფუძნებელი კრება მოინდომებს მუსულმანების ქრისტიანებთან გათანასწორებას და ის არამც თუ მოგცემთ დამოუკიდებლობას, არამედ თქვენს მიწებზე რუსებს დაასახლებს, საბჭოთა რუსეთი კი მიზნად ისახავს დასახული ყველა ქვეყნების დაჩაგრულთა განთავისუფლება, მუსულმანობის ევროპიელების მონობიდან განთავისუფლება, სახელდობრ, ინგლისის მონობიდან, რომელიც ყველა მუსულმანთა სისხლის მსმელია, საბჭოთა მთავრობა ცხოვრებაში ატარებს ჩვენს ნაციონალურ დამოუკიდებლობას, გვპირდება ჩვენი მიწების ხელუხლებლობას, აი ვის ხელთ არის ჩვენი ხსნა, აი ვის უნდა მივსდიოთ.

საბჭოთა მთავრობამ დაამტკიცა, რომ ის ჩვენ სარწმუნოების პატივსა სცემს, მან ჩვენ დაგვიბრუნა ჩვენი წმინდა ყურანი ოსმანისა, რომელიც ცარიზმის დროს სამარკანდიდან პეტროგრადში წაიღეს“.

საკვირველი არ არის, რომ იმ საგიტაციო ფურცლებზე, რომლითაც მოუწოდებენ მუსულმანობას საბჭოთა მთავრობის დროშის ქვეშ, ხელი უწერიათ ცნობილ იშანებს, რომელთაც წინათ შეუძლებლათ მიაჩნდათ პოლიტიკაში ჩარევა და შესვლა იმ ქალაქებში „რომელშიაც გიაურებს ჰქონდათ ფეხი დადგმული“. ხშირად მოწოდებაში რევოლიუციონური „გაუმარჯოს“ მაგიერად ლოცვებია მოყვანილი. „მაინიჭოს დიდმა ალლახმა გამარჯვება სიმართლისა“.

ბოლშევიკებმა შეიგნეს, სწერს ჩოკაევი, რომ თურქესტანის მუსულმანობას ესაჭიროება ნაციონალური განთავისუფლება. მათ შეიგნეს ისიც, რომ ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა ადგილობრივ მცხოვრებლების, ისევე, როგორც აღმოსავლეთის მუსულმანობის, ისეთია, რომ მათთან კლასთა ბრძოლის მეთოდები არ გამოდგება, აქ კლასი კლასს კი არ ებრძვის, არამედ—მთელი მუსულმანობა მოითხოვს განთავისუფლებას. მაგრამ თურქესტანის ბოლშევიკებმა ყოველივე ეს თავისებურად გაიგეს და მათ ნაციონალური განთავისუფლების იდეა რელიგიურ ფანატიზმში გახვიეს. ეჭვს გარეშეა, რომ თურქესტანის საბჭოთა მთავრობამ იცის ყველა ეს, დიდ ჩაუფიქრდენ ამ გარემოებას მოსკოვის ბოლშევიკების ბელადები და ბოლო მოუღონ იმ უგუნურობას, რომელიც აქ ხდება პროლეტარიატის რევოლიუციის და მის ორგანო რუსეთის მუშათა და გლეხთა საბჭოთა მთავრობის სახელით“.

დასასრულს წერილისა ჩოკაევი აღნიშნავს, რომ ნაციონალური განთავისუფლება უნდა ხდებოდეს არა რელიგიური შუღლის გაღვივებით, არამედ —ფედერალურ კავშირის დამყარებით როგორც რუსეთთან, აგრეთვე ახლად აღმოცენებულ პატარა სახელმწიფოებთან. თურქესტანის დემოკრატიამ იცის, რომ თუ თავისი საქმეები მოაწყო, მას არ დაუსახავს მიზნათ აღმოსავლეთის განმანთავისუფლებელი ბრძოლის დაწყება. ის გამომდინარეობს იმ პრაქტიკული თვალსაზრისიდან, რომ არსებულ მდგომარეობაში მისთვის საჭიროა მოაწყოს თავისი ცხოვრება მკვიდრ ნაციონალურ საფუძველზე და არა იმ პროვოკაციულ ლოზუნგებზე, რომელსაც აღვივებენ ხალხში თურქესტანის კომუნისტები განსაკუთრებით კი—„ჯიხადი“ (სამღვთო ომი). თურქესტანის ხალხს სურს „იცხოვროს თითონ და სხვაც აცხოვროს“

---

*) თურქესტანში და ბუხარაში ადგილობრივი მცხოვრებლები ყველას ასე ყოფენ. „ბოლშევო“ (ბოლშევიკები) და „მენშევო“ (ყველა დანარჩენები).

**) უკანასკნელი დეპეშების თანახმად თურქესტანის საბჭოთა ჯარები დღე-დღე ზეიმით შეხვდენ ბუხარის ემირის ჯარებს.

***) თურქესტანის საბჭოთა ჯარების სარდლის სიტყვა. ავტ. შენ.

უცხოეთი

რუსეთი

ბოლშევიკები და აღმოსავლეთი. გაზ. „მორნინგ პოსტ“-ს (18 დეკ.) მოჰყავს ბოლშევიკების შემდეგი შინაარსის რადიო, რომელიც დაჭერილ იქნა ლონდონში: „ტაშკენტში, ნაციონალურ ბიუროს. გაცნობებთ, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში თურქესტანში ჩამოვა მატარებელი, რომელიც ჩამოიყვანს ინსტრუქტორებს და დიდძალ ლიტერატურას. მატარებლის სახელი „წითელი აღმოსავლეთია“. მატარებელში იქნება ლიტერატურა რუსულ და ადგილობრივ ენებზე, რადიო-სადგური და კინემატოგრაფი; იქნებიან ლექტორებიც ამხანაგები, რომლებმაც კარგათ იციან ადგილობრივი ენები, გამოყენებული უნდა იქნეს პროპაგანდისათვის. გთხოვთ გამოგზავნოთ მოსკოვში 3 ამხანაგი, რომლებიც მოსკოვში 20 დეკემბრისთვის უნდა ჩამოვიდნენ; ამას ითხოვს კომუნისტების ცენტრალური კომიტეტი“. გაზ. „მორნინგ პოსტ“-ი დასძენს, რომ ბოლშევიკების [illegible] მოძრაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ წევრები, რასაც გერმანული პრესაც ადასტურებს. [illegible], რომელიც 1915 წელს გერმანელებთან ერთად ავღანისტანში მუშაობდა, თურქესტანში მოაწყო მუსულმანური განყოფილება რუსეთის კომუნისტურ პარტიისა. ეს განყოფილება, კომუნისტების განცხადებით, თითქოს მიზნათ ისახავს ისლამის აღდგენას; მაგრამ ფაქტიურათ მისი მოქმედების მიზანს შეადგენს ინგლისის გავლენის დაცემა აღმოსავლეთში.

ხარკინზე მიმოსვლა დაბრკოლებულია. გაზ. „ვოლნი გოროც“ ის საკუთარ კორესპონდენტის ცნობით თერგის ოლქში სრულიად შეჩერებულია მიმოსვლა რკინის გზებზე. მიზეზი ის არის, რომ მთელი რაიონები—ტიხორეცკაია-ეკატერინოდარი-ნოვოროსიისკი და კავკასკაია-ეკატერინოდარი დაჭერილია მოხალისეთა ჯარის ნაწილების მიერ, რომლებიც ბოლშევიკების წინსვლის გამო უკან იხევენ.

უნგრეთი.

მონარქიზმის ზრდა უნგრეთში. გაზ. „ნოიე დოიჩე ალგემ. ცაიტუნგ“-ის გადმოცემით უნგრეთის პრემიერს გუსარს წარუდგა მონარქისტების დეპუტაცია, რომლის სახელითაც გრაფ სომსიხმა თხოვა პრემიერ მინისტრს აღედგინოს ძველი სახელმწიფო ღერბი და ოფიციალურ მიწერ-მოწერაში „უნგრეთის რესპუბლიკის“ მაგიერათ იხმარონ „უნგრეთის სახელმწიფო“. პრემიერმა უპასუხა, რომ თვითონ იგი მონარქისტია და დარწმუნებულია, რომ არჩევნებში მონარქისტები გაიმარჯვებენ; გუსარი დარწმუნებულია, რომ უნგრელებში 90 პროც. მონარქისტია, რასაც მისი აზრით დაამტკიცებს არჩევნები, რომელიც 25 იანვარს უნდა მოხდეს. რასაკვირველია, უნგრეთში მონარქიზმის ზრდა დიდ შიშს იწვევს მეზობელ ხალხებში—ნემეცურ ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიაში, მაგრამ ავსტრიელები დარწმუნებულნი არიან, რომ ანტანტა წინააღმდეგი იქნება უნგრეთში გაბსბურგების ბატონობის აღდგენისა. ავსტრიელ სოციალ-დემოკრატების ორგანო „არბაიტერ-ცაიტუნგი“ ამის შესახებ, სხვათა შორის, სწერს: ბუდაპეშტში იქსოვება გაბსბურგების ინტრიგის ძაფები, რომელიც საფრთხეს უმზადებს არა მარტო უნგრეთს, არამედ—ავსტრიას, სლოვაკიას, კროაციას, ტრანსილვანიას. უნგრეთის სამეფო შიში ჩააგდებს ყველა მეზობელ ხალხებს, რომლებმაც მედგარი ბრძოლით მოიცილეს გაბსბურგების ტირანია და მადიარების ფეოდალიზმი.

ოსმალეთი.

პარლამენტი ჯერ არ იხსნება. ოსმალეთის პარლამენტის გახსნა განზრახული იყო მიმდინარე წლის პირველ რიცხვებში. მაგრამ ეს, როგორც მოსულ ცნობებიდან სჩანს, არ მოხერხებულა, რადგანაც არჩეული დეპუტატები არ იკრიბებიან კონსტანტინოპოლში ჩამოსვლაზე. პარლამენტის გახსნა განუსაზღვრელ დროისთვის გადაიდო. სმირნისა და ადანის ვილაიეთებში არჩევნები ჯერ კიდევ არ დასრულებულა.

საფრანგეთი.

მაღაროებში მომუშავეთა ყრილობა. დეკემბერში მოხდა საფრანგეთის მაღაროებში მომუშავეთა ყრილობა, სადაც მთელი რიგი ეკონომიური მოთხოვნილებანი იყო წამოყენებული. მუშები მოითხოვენ ხელფასის მომატებას თვეში 1500 ფრანკამდე და აგრეთვე ქვრივებისათვის პენსიის დაწესებას. მოლაპარაკების დროს მთავრობა მოითხოვდა ჯამაგირების რაოდენობა ყოფილიყო 1080 ფრანკი. ყრილობამ გადასწყვიტა ულტიმატური ხასიათი მისცეს თავის მოთხოვნილებებს და თუ 10 თებერვალმდე მუშების მოთხოვნილებანი არ იქნება დაკმაყოფილებული, გაფიცვას გამოაცხადებენ. გამოითქვა სურვილი მაღაროებში მუშაობა სწარმოებდეს მთელი დღე და ღამის განმავლობაში და ამისათვის დაწესდეს მუშაობა სამ „სმენათ“.

თანამედროვე მდგომარეობა და საქართველოს საკითხი

(ამხ. აკ. ჩხენკელის მოხსენებიდან)

ამ თვეში 13 იანვარს სახელმწიფო თეატრში მოხსენება გააკეთა ამხ. აკ. ჩხენკელმა. მომხსენებელს დამსწრე საზოგადოება ხანგრძლივი ტაშის ცემით შეხვდა. საზოგადოება, როგორც ერთი კაცი, ყველაფრიდან სჩანდა, ვერ ფარავდა იმ სიხარულს და სულიერ კმაყოფილებას, რომელიც მასში 12 იანვარმა გამოიწვია. მომხსენებელმაც თავის მოხსენებას შემდეგი სიტყვები წარუმძღვარა:

როდესაც აუდიტორიის ასეთ განწყობილებას ვხედავ,—მე მაგონდება ბავშობის ხანა, მაგონდება ის გრძნობა, ნაზი და მოუხელთებელი გრძნობა, რომელსაც სიტყვები „ქრისტე აღსდგა!“ იწვევდა. ასეთივე გრძნობას იწვევს დღეს სიტყვები: „საქართველო აღსდგა!“ („ჭეშმარიტად აღსდგა!“... გაისმა ვიღაცის მაღალი ხმა და მას მიყვა მთელი საზოგადოება. აუდიტორია ფეხზე წამოდგა და ტაშის ცემას საზღვარი არ ქონდა).

ორატორი განაგრძობს.

ამ სიხარულის დღეს ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბევრი დრო, ბევრი ბრძოლა და ბევრი მსხვერპლი იყო საჭირო სანამ ჩვენ დამოუკიდებლობას მოვიპოვებდით ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ იმ წინაპრების ბრძოლა, რომლებმაც,—ვიცნობდით, თუ არ ვიცნობდით, თავი დასდეს დიდ საქმის გულისთვის. მოვუწოდებ საზოგადოებას ფეხზე ადგომით პატივი სცეს ამ მებრძოლთა ხსოვნას (საზოგადოება ფეხზე დგება). ამ სიხარულის დღეს ჩვენი პირველ სალამს ვუძღვნით სამუსულმანო საქართველოს (ტაში), რომელიც დაბრუნდა თავის მშობლიურ წიაღში; სალამს ვუძღვნით ადერბეიჯანს (ტაში), სომხეთს (ტაში), რომლის ჯერ ხნობით არ ცნობა ცოტათი ჩრდილავს საერთო მხიარულებას, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, ისიც აღიარებული იქნება მალე, როდესაც გადაჭრილი იქნება ოსმალეთის საკითხი; სალამს ვუძღვნით მთიელებს (ტაში), რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ შავ რეაქციის წინააღმდეგ თავიანთი თავისუფლებისათვის და რომელთა დამოუკიდებლობასაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, იცნობს ევროპა.

ამის შემდეგ მომხსენებელი ეხება საქართველოს საკითხს და განაგრძობს.

საქართველოს საკითხში ოთხი მომენტი უნდა აღვნიშნოთ. პირველი—19 ნოემბერი 1917 წლისა, საქართველოს ეროვნულ ყრილობის გახსნის დღე. ამ დღეს ქართველმა ერმა ნახა თავის ეროვნული სული, მაგრამ უსხეულოთ. მაშინ არავინ ჩვენთაგანი არ ფიქრობდა რუსეთიდან გამოყოფაზე, არ ფიქრობდა ავტონომიაზეც კი; მაშინ არ გვქონდა ორგანიზმი; მაგრამ ეს დღე მაინც თვალსაჩინო დასაწყისია ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხში.

მეორე მომენტი—26 მაისი 1918 წ. ამ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. საქართველომ სისხლ-ხორცი შეისხა, ქართველი ერი ფიზიკურ არსებათ იქცა. მესამე მომენტი—12 მარტი 1919 წ., საქართველოს დამფუძნებელ კრების გახსნის დღე და უკანასკნელი დატა—12 იანვარი 1920 წლისა, როდესაც ჩვენ მივიღეთ ცნობა ჩვენი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ანტანტის მიერ აღიარების შესახებ. ამ დღემ ჩაება უკანასკნელი რგოლი იმ ჯაჭვში, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მუშაობა ეწოდება. ამ დღეს არა მარტო ქართველმა ერმა დაინახა თავისი თავი ხორცშესხმულათ: იგი იცნო, იხილა ევროპამ, მოკავშირე სახელმწიფოებმა.

საერთაშორისო ომის მსვლელობაში პატარა საქართველომ დიდი მსხვერპლი გაიღო. მისი შვილები იბრძოდნენ, სისხლს ღვრიდნენ არა საქართველოსთვის, არამედ ძველ რუსეთისათვის, რომელთანაც მას არაფერი არ აკავშირებდა. რომ მისთვის ეკითხათ, იგი არ იბრძოლებდა ამ იმპერიისათვის, კიდევ მეტი,—ამ რუსეთისათვის არ იბრძოლებდნენ რუსებიც, არ იბრძოლებდა ნამდვილი რუსეთი... მაგრამ საქართველოს ლოიალობა არასდროს არ დაურღვევია. სახელმწიფო სათათბიროს სამხედრო კომისიაში ბევრს ლაპარაკობდენ ქართველ ჯარის კაცთა და ოფიცრების გმირობაზე; თვით უმაღლესი სარდალი მეფის ჯარისა და მეფის მოადგილე ხშირათ იტყოდა: „თუ გუნდში 5 მაინც არის ქართველი,—გამარჯვება ჩვენია“-ო. და მიუხედავათ ასეთ ლოიალობისა, ასეთი გმირული ბრძოლისა,—აქ, შეთანხმების სახელმწიფოებში, საქართველოს მაინც უნდობლობის თვალით უყურებდენ. რით აიხსნება ასეთი დამოკიდებულება?— მხოლოთ იმით, რომ მან, საქართველომ, რუსეთის დამარცხების შემდეგ, თავისი ფიზიკურ არსებობის შესანარჩუნებლათ ხელი გაუწოდა გამარჯვებულ გერმანიას, შეთანხმების სახელმწიფოების მტერს. ასე უნდა მოქცეულიყო თვით დიდი ბრიტანეთიც, თუ იგი ანალოგიურ პირობებში ჩავარდებოდა.

აღსანიშნავია ის განსაცვიფრებელი უცოდინარობა და უმეცრება, რომელიც დასავლეთ ევროპაში არსებობდა საქართველოს გარშემო. შესაძლებელია, ევროპის სახელმწიფო მოღვაწეებმა იცოდნენ იგი; დიპლომატებმა იცოდნენ, რას აკეთებდნენ. მაგრამ მე მოგახსენებთ ევროპის საზოგადოებრივ აზრის შესახებ, რომელმაც სავსებით არ იცოდა საქართველო. თუ ვინმე მოისურვებდა მის გაცნობას და ქარტაზე მოსძებნიდა,—იძებდა მას ამერიკის ქარტაზე, სადაც პატარა შტატი არსებობს ამავე სახელწოდებით („ჯეორჯია“). მიმართავდენ აგრეთვე ფრანგულ „ენციკლოპედიას“, სადაც საქართველოზე ნათქვამია, რომ იგი მდიდარია და ცნობილი... ლამაზი ქალებით! საზოგადოება გაკვირვებული დარჩა იმით, რომ პარიზში ჩასულ საქართველოს დელეგაციის სათავეში ისეთი პოპულიარული პირები იდგნენ, როგორიც არიან ჩხეიძე და წერეთელი. ყველა დარწმუნებული იყო იმაში, რომ ესენი რუსები არიან და გაკვირვებით კითხულობდნენ: საქართველო დამოუკიდებლობას ითხოვს და ნუ თუ იმდენი ინტელიგენტური ძალები არ ჰყავს, რომ დელეგაციის სათავეში რუსები არ დაენიშნოს!

(დასასრული იქნება)

პასუხად „საქართველო“—„სახალხო საქმის“ ნაციონალისტებს

ამ უკანასკნელ დღეებში „საქართველოს“ პუბლიცისტებმა თავიანთ გაზეთის მე-4 და მე-5 ნომრებში დაიწყეს ჯირითი გ. გუჯეჯიანის საქმის შესახებ. ამ მიზნით მათ აალაპარაკეს ყოველნაირ აბდა-უბდით ვინმე ნ. ვაშაძე გაზ. „საქართველოს“ № 4; თავიანთ სამაზრო პარტიულ კონფერენციაზედაც დაუსვამთ ეს საკითხი და „სათანადო“ რეზოლიუციაც გამოუტანიათ მთავრობის თავმჯდომარისადმი (გაზეთ „საქართველოს“ № 5).

საერთოდ ყიჟინს ბანი მისცა ფედერალისტების „სოციალისტურ“ გაზეთმა „სახალხო საქმემ“ კორესპონდენტ „ზ“ საშუალებით („სახ. საქმე“ № 723). ერთი სიტყვით მთელი პრესა აალაპარაკეს, დაუყრდნენ რა აბდა-უბდა „მრავალთა“ ფაქტებზე. ნათქვამია არის: „ქურდს კარებამდი უნდა მიყვეო“. და ჩვენც გავყვეთ გაზეთ „საქართველოს“ № 4 მოთავსებულ ვინმე ნ. ვაშაძის ბოდვას.

მე ჩემს პასუხში („საქ. რესპუბლიკა“ № 298) დავამტკიცე, რომ საჩხერის რაიონში გამოსვლები უნდა დაწყებულიყო, რომ ჩვენს გვარდიას ხელი არ შეეშალა. საკმაო ფაქტებიც მოვიყვანე, მაგრამ მათ გაბათილებას ნ. ვაშაძემ ყურით აპარა ვერაფერი.

ნ. ვაშაძე ამბობს: საჩხერის რაიონში გამოსვლები არ ყოფილა... და რათ დასჭირდა ს. გოცაძეს გორის მეამბოხეების საჩხერის მეამბოხეებთან მიკერებაო. მე არ მითქვამს, გამოსვლები იყო და საჩხერე აღებული იყო თქო. მე ვამბობდი: ნიადაგი მომზადებული იყო; გამოსვლებს დღე-დღეზე მოელოდნენთქო. იყო სისტემატიური კრებები გორისა და საჩხერის მეამბოხეების. რომ გამოსვლები მზადდებოდა საჩხერის რაიონში, ეს იცოდა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ; ჯერ კიდევ ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში იცოდა შორაპნის სამაზრო ერობამ და შორაპნის საოლქო შტაბმა და აგრეთვე სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმაც.

ქვევით ნ. ვაშაძე ამბობს, რომ „საჩხერის რაიონში დამნაშავენი არ აღმოჩენილან, გარდა ძმებ გელაშვილებისა“. ნ. ვაშაძეს რომ საქმის სინამდვილე აინტერესებდეს, დაინახავდა მეამბოხე გელაშვილებს გარდა, სხვებსაც 10—პირს (პ. კაპანაძე, აბრამიშვილი და სხვა), რომლებთა შორის სამხედრო საველე სასამართლომ ზოგს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა, ზოგს კატორგა სხვადასხვა დროის და ზოგიც ერობას გადმოუგზავნა მის განკარგულებაში. და თუ ამათ—ზამთარაძე გორის მაზრის მცხოვრებლები აღმოჩნდნენ, ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს ჩვენ გვარდიის რაზმს მათი შეპყრობა-გასამართლებისას, ვინაიდან ეს პირები იკრიბებოდნენ მეტ ნაწილათ სოფ. ჩორვილში; იკრიბებოდნენ თავიანთ გარეშემო უკმაყოფილო და ბნელ პირებს და ამზადებდნენ გამოსვლების ნიადაგს. ამას გარდა ჩვენ გვარდიის რაზმს ნაბრძანები ჰქონდა მთავრობიდან გორის მაზრაშიაც ეწარმოებინა მოქმედება. აქვე უნდა აღვნიშნო ისიც, რომ საველე შტაბს ზელაძე არავინ შეუპყრია და არც არავითარი ქაღალდი არც მას და არც საველე სასამართლოს გორის სამაზრო ერობიდან არ მოსვლია რომელიმე დატუსაღებულ მეამბოხის განთავისუფლებლათ. მაგრამ ამაზე ალბათ საველე სასამართლოს წევრები და გორის სამაზრო ერობის გამგეობა თვითონ იტყვიან.

რომ უფრო მეტი ფასი მისცეს თავის წერილს, ნ ვაშაძე ამბობს, ვითომ ჩვენ მშვიდობიან მცხოვრებლებს უფულოთ ვართმევდით ფრინველებს, ვუკლავდით ღორებს, ვართმევდით შეშას და სხვ; „მრავალთა“ მაგალითიდან ნ. ვაშაძეს მოჰყავს ძირულელი ს. ჩინო ხახიაშვილი, რომელსაც ვითომ ჩვენმა გვარდიის რაზმმა დაუკლა ღორი და ფრინველები. აშკარა სიყალბეა. ჩვენ გვარდიის რაზმს თუ რამე სანოვაგე ან შეშა დასჭირდებოდა სოფლით, ის იძენდა მას, რა თქმა უნდა ფულით ადგილობრივი კომისრის საშუალებით. ყოველ შემთხვევაში ამ კითხვაზე მე ვცნობ გამოსთქვან თავიანთი აზრი ადგილობრივმა წვრილი, ერთეულის თავმჯდომარე ვ. ტყემალაძემ და სახ. კომისარმა მ. ტაბატაძემ, რომლებიც სულ ჩვენთან იყვნენ და იციან თუ რამდენათ დაისჯნენ „მშვიდობიანი მცხოვრებლები“. რაც შეეხება განებ გამოგონილ ძირულელ სანინო ხახიაშვილს, უნდა მოვახსენო ნ. ვაშაძეს, რომ ჩვენ გვარდიის რაზმს არა თუ ძირულაში, არამედ მის მეზობელ სოფლებშიაც არ გაუვლია. ძირულიდან ჩვენ დაშორებული ვიყავით 70—80 ვერსზე. და აქედან გასაგებია თუ რამდენათ დაისჯებოდა „უდანაშაულო“ სანინო ხახიაშვილი. რაც შეეხება თვით გუჯეჯიანის საქმის გამოძიებას, მე პირველ ჩემს პასუხში ვსთქვი, რომ საველე შტაბს არ დაუკითხავს იმ 30-ზე პირებისათვის, რომლებიც გ. გუჯეჯიანმა წინდაწინვე დაასახელა საველე შტაბში მის მიერ მიცემულ ჩვენების დროს. და თუ ამ 30 კაცს გარდა დაკითხული სხვა მოწმეები გამოჩნდნენ მისი მოინტერესენი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ბანოჯელ გლეხსაც მისი ინტერესი ექნებოდა. პირადათ მე გ. გუჯეჯიანის არავითარი კერძო ინტერესი არ მქონია და არც ვიცნობდი მას ახლოს. როდესაც გ. გუჯეჯიანმა 30 მისი მოინტერესე დაასახელა მე კიდევაც შევეკითხე საველე შტაბში მომუშავე პირებზე და გვარდიელებზე რომ არა ვისზე აქვს მას უკმაყოფილება სამდურავითქო. ამაზე მან თვითონ უარყოფითი პასუხი მისცა საველე შტაბს არ არის მართალი აგრეთვე ისიც, ვითომ გ. გუჯეჯიანი სილოვეში იყო დამწყვდეული და მას შიმშილით კლავდნენ. გიორგი გუჯეჯიანისათვის განსაკუთრებული პირობები არ იყო შექმნილი; ის სხვა დამნაშავეებ—ბეგდელიძე შენგელია-სამხარაძეებთან ერთად იჯდა და ღებულობდა თანაბარ ულუფას.

არ შემიძლია არ აღვნიშნო აგრეთვე ისიც, რომ მე გუჯეჯიანის საქმის ა

„ვწვევივარ“ და არც გამჩხრეკია საქმე შემდეგში იყო: როდესაც, ოპერაციების დამთავრების შემდეგ, დ. საჩხერეში დარჩენილ იარაღს ვკრებავდით, საველე შტაბს ცნობა მოუვიდა: გ. გუჯეჯიანს სახლში აქვს თოფებიო. ამისათვის რაზმს, რომელიც დ. საჩხერეში კრებავდა იარაღს, ებრძანა გ. გუჯეჯიანის სახლიდან მიეტანა იარაღები. გაჩხრეკის დროს იარაღები სახლში არ აღმოჩენილიყო, ხოლო რაზმმა მოიტანა პატრონტაშები, რუსული თოფის „ჩეხოლი“ და რამოდენიმე ტყვიები. შეცდომით რაზმის ხელმძღვანელს წერეთელს წამოეღო გ. გუჯეჯიანის სახლიდან ერ-დემ. ბექედი და კრასკის ბალიში, მაგრამ ეს უკანასკნელნი მაშინვე ჩააბარა საველე შტაბმა ხელწერილ ქვეშ საჩხერის რაიონის კომისარს დანიშნულებისამებრ გადასაცემათ.

და ასე მიმდინარეობს მთელი რიგი ნ. ვაშაძის ბოდვისა.

დასასრულ ორიოდე სიტყვა „სახალხოელებზე“. როგორც მოსალოდნელი იყო საქართველოელებს გამოექომაგენ „სახალხო ფურცლის“ პუბლიცისტები და თავიანთ გაზეთის № 713 პირველსავე გვერდზე ვინმე „გ“ „თურმე“ და „თუ“ ზე აშენებულ წერილში მორცხვათ, თითქოს ეშინია—არავინ გამიგოს, კიდეც იცავს გუჯეჯიანს და კიდეც ამტყუნებს. საბრალო სახალხოელებო!!! როდემდის გინდათ ორ სკამზე ჯდომა!?! მაგრამ რაც გჩვევიათ ასე მალე ვერ მოიშლით!!! თქვენ რომ საქმის სინამდვილე გაინტერესებდეთ, „თურმე“ და „თუ“-ზე კი არ დაეყრდნობოდით, არამედ გაიგებდით, რომ საველე სასამართლოს ბრალმდებელი, რომელმაც საველე სასამართლოში ბრალდება წაუყენა გ. გუჯეჯიანს, იყო თქვენი პარტიის ოფიციალური წევრი ვ. ფერაძე და თქვენით გალანძღული ს. გოცაძე საველე სასამართლოს თავმჯდომარეთ და არც მის წევრათ არასდროს არ ყოფილა და შიში თქვენი, რომ „ჩემი პიროვნების ყოფნა საველე სასამართლოში ამ უკანასკნელის პრესტიჟს დასცემდა“, სრულიად უადგილო არის!!! მაგრამ რა გითხრათ! „საქმემან თქვენმან გაცხონოს თქვენ“.

საჩხერის რაიონში მომქმედ შორაპნის გვარდიის ყოფილ საველე შტაბის თავმჯდომარე: ს. გოცაძე.

საერობო არჩევნები ზუგდიდის მაზრაში

25 იანვარს მთელ ზუგდიდის მაზრაში დანიშნულია სამაზრო საერობო არჩევნები. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აყენებს შემდეგ კანდიდატებს № 1 — სიით:

წალენჯიხის პირველი საარჩევნო ოლქი.

1. ლეო მიხეილის ძე შენგელაია.
2. იოსები ანტონის ძე კვარაცხელია.
3. სამსონი შონია.
4. პეტრე ნიკოს ძე ქვარცხავა.
5. არისტოხ შამუგია.
6. დიმიტრი ჯაბეს ძე სამუშია.
7. ანტონ შონია.
8. კოკუსანი ხასია.

ზუგდიდის პირველი საარჩევნო ოლქი.

1. ალექსანდრე ბიტუს ძე ჩიქავა.
2. გიორგი ნესტორის ძე ქადია.
3. კაკო ჩიქოვანი.
4. ალექსი შავას ძე დარასელია.
5. დიანოზი ნესტორის ძე ცხაკაია.
6. მიხა ივანეს ძე შამუგია.
7. კალისტრატე ხუფენია.
8. სტეფანე გურგენიძე.
9. ანტონი ჯანაშია.
10. მიხა კოდუა.
11. იასონი გედენავა.

ხობის საარჩევნო ოლქი.

1. დიომიდე თოფურიძე.
2. დიმიტრი ივანეს ძე გვასალია.
3. ნესტორ მიხეილის ძე ადამია.
4. მიხა ივანეს ძე ტურავა.
5. ბოკო კონსტანტინეს ძე ცხომარია.
6. ისლამ კაკოს ძე დოლბაძე.
7. ივგორა გვაძაბია.
8. კოლია გოჯის ძე კალანდია.
9. ნექტარი ქანტურია.
10. ლევანი გაიოზის ძე ზარანდია.

წალენჯიხის მეორე საარჩევნო ოლქი.

1. ერასტო დავითის ძე კაპირავა.
2. მაქსიმე კონსტანტინეს ძე ვეკუა.
3. მახა ლემონჯავა.
4. ანდრუშკა ვეკუა.
5. ტროფიმე ნიკოს ძე სიჭინავა.
6. ივანე მალანია.
7. პეტრე ბაკუს ძე ბერულავა.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო ოლქი.

1. იასონ ნიკიფორეს ძე მუჯირი.
2. ექვთიმე სართანია.
3. იონა ჩუხუა.
4. ქვაჩალა ბაღათურია.
5. ბესარიონი ვეკუა.
6. ანტონი ჯანაშია.
7. სოკრატი ლურწკაია.
8. სიმონ ადამია.
9. ბაგრატი რაფავა.
10. ფილუ როგავა.

ქ. ზუგდიდის საარჩევნო ოლქი.

1. გიორგი ნესტორის ძე ქადია.
2. ბაგრატ ივანეს ძე ჩილაჩავა.

სახალხო გვარდიაში

სამტრედია. 12 იანვარს შესდგა შეერთებული კრება სამტრედიის ოლქის გვარდიის კადრში მყოფ ამხანაგებისა და ამავე ოლქის დროებით გამოწვეულ საყარაულო განყოფის. კრებას ასამდე კაცი დაესწრო. დღიურ წესრიგში შემდეგი კითხვები იყო გასარჩევი: 1) მოხსენება მომენტზე, 2) დისციპლინა და 3) კულტურულ-განმანათლებელ სექციის არჩევნები გვარდიაში. პირველ კითხვაზე მოხსენებას აკეთებს საოლქო შტაბის წევრი გიორგი დუნდუა, რომელიც ვრცლად ეხება ეხლანდელ ჩვენს საერთაშორისო მდგომარეობას. მომხსენებელი ადარებს დღევანდელ საქართველოს მდგომარეობას საბჭოთა რუსეთს, სადაც ყოფილი სოციალ-დემოკრატები, დღეს კი ბოლშევიკ-კომუნისტები, მეფობენ და აღნიშნავს თუ მათ, ე. ი. ბოლშევიკებმა რა დიდი ზიანი მიაყენეს რუსეთის მშრომელ კლასს, თუ როგორი სამოქალაქო ომის ალში გახვიეს რუსეთის მშრომელი მასსა და ამით სავსებით ფეხქვეშ გასთელეს რუსეთის დიდი რევოლიუციით მოპოვებული უფლებები; მაშინ, როდესაც აქ საქართველოში მართველი პარტია დაადგა რა, თავიდანვე დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა სწორ და საღ პოლიტიკას, ხალხი სავსებით უზრუნველყო ფიზიკურ განადგურებისაგან, იქნა დაცული მოქალაქეობრივი უფლებები და თანდათან მტკიცდება ხალხოსნური წესწყობილება. დასასრულ ორატორი მოუწოდებს კრებას და ლაპარაკობს, რომ ჩვენ, როგორც დემოკრატიის ღვიძლი შვილები, შესაფერ პასუხს გავსცემთ ყოველ მხრიდან მოვლინებულ მტრებს, რომლების მიზანი იქნება საქართველოს რესპუბლიკის ეხლანდელი წეს-წყობილების განადგურება და მის მაგიერ კი ანარქიის გამეფება.

ამ დროს კრების დარბაზში სავსებით მოულოდნელათ შემოაქვთ დეპეშა საიდგანაც ვტყობილობთ, უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. ამ ცნობამ აუწერელი აღფრთოვანება გამოიწვია ხალხში, და მას განუწყვეტელი „ვაშას“ და „გაუმარჯოს საქართველოს“ ძახილით შეხვდნენ. ამხანაგები ერთი მეორეს ულოცავდნენ გამარჯვებას, ზოგს კი არ სჯეროდა მეტი სიხარულით. სიგვიანის გამო გადაწყვეტილი იქნა მეორე დღისთვის ქალაქში დემონსტრაციის მოწყობა. ამის შემდეგ კი კრება დანარჩენი საკითხების გარჩევას შეუდგა. მეორე საკითხზე, რომელიც შეეხბოდა გვარდიაში ამხანაგური დისციპლინის განმტკიცებას, მოხსენებას აკეთებს საოლქო შტაბის თავმჯდომარე ს. ნინუა, რომელიც აღნიშნავს ნამდვილი დისციპლინის მნიშვნელობას სამხედრო ნაწილში და მოუწოდებს ამხანაგებს თავისი მოვალეობის შეგნებით ამხანაგური დისციპლინის განმტკიცებისაკენ. სამწუხაროთ, აღნიშნავს ორატორი, ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები არღვევენ ისეთ წესებსაც კი, რომლის წესების დასაცავათ თვითონ არიან მოწოდებული. მაგ. როგორც არის უმნიშვნელოთ თოფის სროლა. კრება ღებულობს შემდეგ რეზოლიუციას: მოისმინა რა კრებამ შტაბის თავმჯდომარის მოხსენება ამ უდისციპლინობაზე, რომელიც სუფევს ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებში და ამის გამო ჩირქი ეცხება საზ. გვარდიას, კრება ერთხმათ კიცხავს ყოველივე ასეთი მოვლენებს, მხარს უჭერს ამხანაგური დისციპლინის განმტკიცებას და მოითხოვს ყველა დამნაშავენი შტაბის მიერ იქმნას სასტიკათ დასჯილნი.

ს.-დ. პარტიაში

ტფილისი. 15 იანვარს შესდგა მე-6 რაიონული კოლექტივის წევრთა მორიგი სხდომა ვ. ინწკირველის თავმჯდომარეობით. კრება ისმენს წინა სხდომის ოქმს, რასაც ცოტა შესწორებით ამტკიცებს. კომიტეტის წევრი ირ. შაიძე აცხადებს, რომ კომიტეტის სხდომები ზედიზედ არ შემდგარა სამჯერ, ამიტომ მოხსენება მოხსნილ იქნა დღის წესრიგიდან. მე 5 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. გულუაშვილი. ის აღნიშნავს მცირე კოლექტივის მიერ განხილულ კითხვებს და დადგენილებებს: 1) ამხ. გუმეტისტები თხოულობენ ჩვენ პარტიაში ჩარიცხვას, ვინაიდან მათი ორგანიზაცია ამ ბოლო ხანებში მოიდუნდა. კოლექტივს სასურველად მიაჩნია ამხანაგი გუმეტისტები მიღებულ იქნან პარტიაში საერთო წესით, როგორც ახალი წევრები. 2) მცირე კოლექტივს სურვილი აქვს გამართოს წარმოდგენა თავის ფინანსიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ მუშათა კლუბში. კოლექტივი სასურველათ სთვლის მცირე კოლექტივის ასეთ ნაბიჯს და ამასთანავე საჭიროდ მიაჩნიათ წარმოდგენილ იქნას კოლექტივში ყველა დაწვრილებითი ცნობა ამის შესახებ. რაც შეეხება მცირე კოლექტივის საჭიროებებს საკანცელარიო და სხვა ხარჯების დასაფარავად კოლექტივი მისცემს მათ ფულს. 3) მცირე კოლექტივმა დაადგინა, კვირას, 18 იანვარს, დილის 10 საათზე, მოიწვიოს აბანოებში მომუშავე პარტიის წევრთა საზოგ. კრება, სადაც უნდა გაკეთდეს მოხსენება მომენტზე. და აგრეთვე სამ. 4 ს., ოთხშაბათს, 21 იანვარს, ალელხანოვის ქარხნებში მომუშავე მუშების კრება იმავე მიზნით. კოლექტივი ღებულობს ამ მოხსენებას და ავალებს კულტურულ-განმანათლებელ კომისიას სათანადო მომხსენებლები გამოუნახონ მცირე კოლექტივის კრებებისათვის. კოლექტივი მათ შესახებ ადგენს: მათ ევალებათ იმუშაონ უფრო ენერგიულათ, ამასთანავე გამართონ მორიგეობა მათ ბიუროსთან არსებულ პარტიულ სამკითხველოში მორიგეობა წევრებისა. კოლექტივის წლიური ანგარიშის საჩქაროდ დასრულების შესახებ განმარტებას იძლევა ვ. ინწკირველი. კოლექტივი ღებულობს განმარტებას მხედველობაში და ავალებს პრეზიდიუმს, რომ მათ შემდეგ სხდომისათვის წარმოუდგინონ კოლექტივს წერილობითი სრული ანგარიში, როგორც ფინანსიური, აგრეთვე იდეური. კულტურულ-განმანათლებელ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს მ. ნაკაიძე. ის აღნიშნავს, რომ კომისიამ შეადგინა აბანოებში მომუშავე პარტიის წევრთა სია, რომლებმაც სურვილი განაცხადეს პარტიულ წრეში მეცადინეობისა, ასეთნი აღმოჩნდნენ 48 კაცი. მათ ესაჭიროებათ ხელმძღვანელი მასწავლებელი. კომისია ღებულობს ყველა საჭირო ზომებს პარტიულ წიგნთსაცავის დასაარსებლად. კოლექტივი ღებულობს მოხსენებას და ავალებს თავის წარმომადგენელს თფილისის კომიტეტში მოითხოვოს პარტიულ წრის შესაფერი ხელმძღვანელი. შემდეგ განხილულ იქნა კითხვა პარტიულ წევრთა საზოგადო კრების მოწვევის შესახებ. კოლექტივი საჭიროთ სთვლის კვირას, 25 იანვარს, დილის 10 საათზე მოწვეულ იქნას ასეთი კრება მუსულმანთა აუდიტორიაში, სადაც მოხსენება გაკეთებულ იქნება მიმდინარე მომენტზე. ამ კრების მოწვევის ყველა ტექნიკური მხარეების მოწესრიგება ევალება საორგანიზაციო კომისიას.

ფინანსიურ კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს კომისიის წევრი ვ. ალიხანოვი. ის აღნიშნავს პარტიულ პრესის გავრცელების საქმეს რაიონში, „ერთობა“ ზე ხელის მომწერლების რიცხვი უდრის 137. „ბორბის“ კი 26, მხოლოდ ამათში ბევრს არ აქვს შემოტანილი გადასახადი. საჭიროა კოლექტივმა დახმარება აღმოუჩინოს კომისიას. კოლექტივი ავალებს საქმის მწარმოებელს დაეხმაროს კომისიას და აგრეთვე კოლექტივის და მცირე კოლექტივების წევრებს. ყოველგვარი დახმარება გაუწიონ კომისიას ამ საქმეში.

შემდეგ განხილულ იქნა პარტიაში შემსვლელ პირთა სია და დაზოლოს კოლექტივის წევრთა სხდომებზე დასწრების ნუსხა.

მდივანი მ. ნაკაიძე.

მუშათა შორის

კავშირთა სეკრეტარიატში. 15 იანვარს შესდგა პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატის კრება. გასარჩევი იყო შემდეგი კითხვები. საზეიმო დილის მოწყობა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ცნობის შესახებ, ლითონზე მომუშავეთა კავშირის განცხადება. განცხადება საჭმნო გადასახლების კომისიის წევრისა, განცხადება სურსათის განაწილების შესახებ მუშათა შორის, მოხსენება მუშათა კლუბის შესახებ. მიმდინარე კითხვები. პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ა. ხელაძე, რომელიც ამბობს, რომ საზეიმო დილა უნდა მოაწყოს პროფესიონალურმა კავშირებმაც, რადგანაც პროლეტარიატი, რომელიც თავს იყრის კავშირებში, გულის ფანცქალით მოელოდა ამ დიდმნიშვნელოვან აქტს,—ჩვენ დამოუკიდებლობას, ამიტომ გადასწყდა, კვირას, 18 იანვარს დილის 11 საათზე მუშათა კლუბის შენობაში მოეწყოს საზეიმო დილა, მოწვეული იქნებიან ყველა პროფესიონალური კავშირების გამგეობის წევრები, საქარხნო კომიტეტის დელეგატები და საბჭოს წევრები.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ი. ჩხენკელი, რომელიც ამბობს, რომ ლითონზე მომუშავეთა კავშირის და სატარიფო პალატის შორის უთანხმოება, რომელიც გამოიწვია სატარიფო პალატის მიერ კოლექტიური ხელშეკრულების იმ მუხლებმა, რომელიც ეხება ხელფასს გაუქმებამ, რადგანაც ხელფასის მოწესრიგება მხოლოდ ეკუთვნის სატარიფო პალატას. საკითხი გადაიდო, მიენდო პრეზიდიუმს მოიწვიოს ორთავე მხარეები და შემდეგი კრებისათვის გაარჩიონ. მესამე კითხვაზე ლევინა ამბობს, რომ ჩვენი მუშაობა კომისიებში ზოგიერთ შემთხვევებში იწვევს გაუგებრობას, კომისია ადგენს სპეკულიანტს გადასახლებას, შემდეგ კი, რაღაც მახინაციებით ითავისუფლებენ თავს, ამიტომ გადასწყდა მოიწვიონ ყველა უბნის მომუშავენი და ერთი კოლექტიური აზრი ამის შესახებ გადაეცეს ვისაც ჯერ-არს.

მეოთხე კითხვაზე დაბორჯგინიძე აცნობს, რომ სურსათის განაწილების საქმეში არის ბოროტ-მოქმედება და ამიტომ განაწილების საქმე უნდა მოეწყოს უფრო საღ ნიადაგზე. გადასწყდა, რომ ყველა რაიონებში გამოიყენონ უკვე მოწყობილი აპარატები, აგრეთვე დიდ ქარხნებს გადაეცეთ გასანაწილებლად სურსათი.

მეხუთე კითხვაზე მოხსენებას აკეთებს საფაროვა, რომელიც ამბობს, რომ მუშათა კლუბი ამ ბოლო დროს ძალიან ცუდ პირობებში ჩადგა, ამას აქვს შემდეგი მიზეზები, ერთი ის პირები, რომლებიც იყვნენ არჩეული გულცივათ ექცევიან და სულ აღარ ესწრებიან კრებებს, ვცადეთ კოოპერატივის საშუალებით მოგვეწვია მუშები, მაგრამ ამანაც არ უშველა, მეორე მიზეზი ის არის, რომ მუშათა კლუბში არ იმართება ისეთი წარმოდგენები და ლექციები, რომელიც დააინტერესებდა მშრომელ მასსას და მათ მისცემდა გონებრივ საზრდოს. რაც შეეხება ანგარიშებს, ეს მიენდო ამორჩეულ სარევიზიო კომისიას, რომელიც განიხილავს ყველა საქმეებს, მიიღებს შესაფერს ზომებს და შემდეგ მოახსენებს სეკრეტარიატს. აგრეთვე ენდობა სეკრეტარიატს გამოძებნოს შესაფერი გამგე მუშათა კლუბისა. კომისიაში აირჩიეს: ჩხენკელი, ხელაძე, სალირაშვილი, კანდიდატათ ს. ფანცხავა.

ჟქრო.

პროვინცია

ს. გორა-ბერეჟოული. (გურია). ამა 1920 წ. იანვრის 10-სა დღეს შესდგა სოფ. გორა-ბერეჟოულის კოოპერატიული დუქნის „შეღავათის“ წევრთა წლიური კრება. კრებას დაესწრო 120-დე წევრი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლ. ტყეშელაძე, მდივნათ ა. კობიძე.

ანგარიშების შესახებ ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა. გამოირკვა, რომ 1919 წ. განმავლობაში კოოპერატივს წმინდა მოგება დარჩენია 30031 მ. და 10 კ. კრებამ მოხსენება დაამტკიცა. კოოპერატიული ბანკის შესახებ კრებამ დაადგინა: დაევალოს გამგეობას ჩვენმა კოოპერატივმაც შეიძინოს ერთი აქცია. 1919 წმინდა მოსაგები 30031 მ. და 10 კ. კრებამ გაანაწილა ასე: საპაიო თანხაში გადარიცხულ იქნა 14 400 მ. საწევრო სათადარიგოში 9600 მან., 2000 მანეთით დააჯილდოვეს მუდმივი გამგეობის წევრი ს. ჯიმბერიძე, ხუთასხუთასი მანეთით მოანგარიშე კ. მახარაძე და ხაზინადარი ა. კობიძე. 500 მანეთით ნოქარი, ხუთას-ხუთასი მანეთით, ორი სარევიზიო კომისიის წევრნი ს. მეფარიშვილი და ი. ტყეშელაძე, 1000 მან. გადასცეს ჩოხატაურის გიმნაზიას, 200 მ. ჩოხ. სახალხო გვარდიის შტაბს, 131 მან. და 10 კ. ადგილობრივ ს. მცხოვრებს ღარიბს მოხუცებულს ა. ხაბეიშვილს და 200 მ. წიგნთ-საცავ სამკითხველოს.

ნისიის შესახებ კრებამ დაადგინა, რომ არ იქნას გაცემული ნისია კოოპერატივიდან, პაის გადიდების შესახებ კრებამ დაადგინა: დაევალოს ყველა წევრებს კოოპერატივისას, თავიანთი საპაიო ფულები გაადიდონ 100-მდე, დღიდან დადგენილებისა სამი თვის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინც არ მოასრულებს ზემო ხსენებულს ვადაში, იმ პირთ აეკრძალებათ საქონლის ყიდვა ხსენებულს კოოპერატივში. ახალი გამგეობის არჩევნების შესახებ კრებამ სთხოვა დარჩენა ძველ გამგეობას. შრომის საფასოთ კი საზოგადოებამ მათ დაუნიშნა ცოტა ჯამაგირები მაგ. საქონლის მომწოდებელს 700 მ., მოანგარიშეს 400 მ. და ხაზინადარს 300 მ. სარევიზიო კომისიაში საზოგადოების თხოვნით დარჩენ ისევ ძველი წევრები. შემდეგი კითხვა იყო წევრების მიღების შესახებ. კრებამ დაადგინა: დაევალოს გამგეობას დღეის რიცხვიდან კოოპერატივში წევრებათ ნუ იღებენ მიღებული სხვა საზოგადოების მცხოვრებნი

მდივანი ა. კობიძე.

რაჭის მაზრის სოფ. უწერის სამკითხველო-ბიბლიოთეკის გამგეობის სახელით უღრმეს მადლობას ვწირავ ქვემოდ ჩამოთვლილ პირთ, რომელთაც შემოსწირეს: 1) გიორგი კერესელიძემ 100 მან. ორმოცდა ათათი მანეთი: 2) აფრასიონ გ. ხიდეშელმა, 3) ვარლამ ჩუმაშვილმა, 4) კოსტა მ. მეტრეველმა, 5) თომა ი. მეტრეველმა, 6) ალექსი ბ. მეტრეველმა, 7) იოსებ ა. დვალიშვილმა, 8) ალექსანდრე, 9) ნიკოლოზ პ. და 10) დიანოზ დ. კერესელიძეებმა. 11) ილიკო საგანელიძემ, 12) სარდიონ დვალიშვილმა, 13) ვარლამ აილაროვმა, 14) სიმონ იორდ. დვალიშვილმა, 15) სანდრო კერესელიძემ, 16) დავით ხიდეშელმა, 17) ლადიმერ ი. ჩალაძემ, 18) და 19) სარდიონ გოგიაძე და ლევან ვ. მეტრეველებმა. ოცოც და ხუთხუთი მან.: 20), 21) და 22) გრამიტონ, სერგო და პეტრე მეტრეველებმა, 23) Мамед Ибрагим оглы, 24) Исмаил Хакки, 25) გაბრიელ ჩუმაშვილმა, 26) ვანო ხიდეშელმა, 27) ილია ყაუხაშვილმა, 28) ვარდენ დვალიშვილმა 29) ვარლამ რაზმაძემ 20 მან., 30) მელიტონ მაისურაძემ 15 მან., 31) სამსონ კალმახელიძემ 3 მან. სულ შემოსწირეს 1263 მ.

გამგეობის მანდობილობით ილარიონ იოხების ძე მეტრეველი.

განცხადებანი

ოზურგეთში

იყიდება სამოსახლო კუთხის მიწა. ბათუმის ქუჩისა და ბათუმის შესახვევში ზომით 414 კვ.დ. საჟ. ხეხილით მოშენებული. ფასი კვადრატი საჟ. 100 მან მისამართი: თბილისი იზმაილოვის შესახვევი № 6 გრიაზნოვი. ნახვა მოსალაპარაკებლად დილის 8—11-დე, საღამოს 5—8-დე (208—3—3)

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 ავლაბრის აუდიტორიის ახლო.

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ექიმი ა. დ. გეგელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელ. 14—28.
(154—თ.)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღ. 1—3 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—13. (119—თ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმ ნავასარდიანისა
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
დაარსდ. 1880 წ.
ყოველ დღე კვირის გარდა.
„606“ და „914“ 11—12 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ხირურ. და ვენ. ავად. (სიფილისი).
გ. მ. ამახაროვი —10—12 ს. შინაგ. ნერვ. და საბავშო ავად. აცრა.
მ. მ. ავეტისიანი 11—12 ს. ვენ. ავად. (სიფილ.) ხირურგ.
კარუკას-ბებურიშვილი—12—1 საათ. (ორშ. ოთხ. და პარასკევი). ქალთა ავად. და ბებიობის ნაწილი.
ე. ა. ბორჟეკოვსკაია—12—1 საათ. (სამშ. ხუთშაბ. და შაბათი).
ტერ გრიგორიან—12—1 ს. შინაგ. და ბავშვთა.
ღარიბებს დარიგება უფასოდ.
სამკურნალოს დირექტორი
(180—თ.) ექიმი ნავასარდიანი.

კერძო სამკურნალო
ექ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 14
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს“ გვერდით). ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი, ცალკე ოთახები.
(თ. 218)

ექიმი გ. მ. მმინარიშვილი
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მისამართი: კუთხე პლეხანოვის (მიხაილოვის) პროსპექტი და კიროჩნის ქუჩ. № 22 (შესავალი კიროჩნის ქუჩიდან) ტელეფონი 10—87.
(114—თ.)

ექიმი ქალი ე. ს. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 29.
(თ. 3065).

დოქტორი მედიცინის
ა. ა. მონსე
სნეულებანი შინაგანი და ნერვების. წამლობა ელექტრონით, ლურჯი სინათლით ჰიპნოზით და შთაგონებით' ავადმყოფობანი კუნთებისა, სიდამბლის და სქესობრივი სისუსტისა.—მიღება დილით: 10½—1 საათ. საღამოთი: 6—7 ს. ხუთშაბათს გარდა კვირაობით არ მიიღება ავადმყოფები. პლეხანოვის ქუჩა (მიხაილოვის პროსპ.) № 111. ტელ. 13—42. (თ.—2)

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს 12—1 საჰ. ს. მისამართი: მადათოვის ქუჩა, № 7, ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. (ტელეფონი 16—65.) (თ. 3463)

თვალის ექიმი
გ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დღისით 1—3 საათამდე. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი.
(თ. 3322)

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფები მიიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით
დაარსდა
პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები ორივე სქესისთვის წლოვანობის განურჩევლად
ალ. გ. საათაშვილისა
(წელიწადი მესამე).
პირობის გასაგებათ დილის 10—12 საათ., ნაშუადღევის 5—7 საათამდე. მისამართი: თფილისი, დუშეთის ქუჩა, სახ. № 9 (წყნეთის ქუჩ. ახლოს). ტრამვაის ვაგონ. №№ 5 და 9.
(246—1—1)

ფეხსაცმელების კერვის სწავლება
საპიორნი ქუჩა სახ. № 26, ოთახი 14.
შეკერვა ევროპიული ფეხსაცმელისა რანტით, შპილკით გადასაბრუნებელი და სანდლების, მასთან გამოჭრა და შეკერვა ყოველნაირი მოყვანილობის „ზაგატოვკისა“.
მეცადინეობა დილით 9—12 საათამდე. საღამოთი 4—7 საათამდე. სწავლის ფასი 400 მანეთი. (233—1—1)

ყარაიაზში ჩამოსახლებულთა მთავარი კომიტეტი

აცხადებს ყველა ყარაიაზში ჩამოსახლებულთა საყურადღებოთ რომ ვინც 15 თებერვლამდე არ დაბინავდება თავის სახლში, მათი მამულები და სახლები გადაეცემა სხვა კანდიდატებს.

ყარაიაზში ჩამოსახლებულთა მთავარი კომიტეტი. (უფ. 1—1)

[illegible] № 1